დღეს საქართველოში მოქმედებს ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა, რომელსაც კონსტიტუციით მინიჭებული აქს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და კერძო ჯანდაცვის ულტრავალებულ პრინციპების მიზანით მოქმედებს უსასყიდლოდ ეწევიან და მოქმედებენ სახელმწიფო მართვის ორგანოებთან ხელშეკრულების საფუძველზე. კერძო დაფინანსების მაგალითად შეგვიძლია ასევე მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირში მოქმედი წესი – ფასიანი მომსახურება, რომელსაც ეწეოდნენ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში, შესაბამისობაში მოდის მსოფლიოში კარგახანია ცნობილ და საქართველოში ნორმად მიღებულ თანაგადასდებთან (თანაგადახდის სიდიდე დადგენილია ნორმატიული აქტით).

დღეს საქართველოში მოქმედებს ჯანდაცვის

სახელმწიფო სისტემა, რომელსაც კონსტიტუციით

მინიჭებული აქს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და კერძო ჯანდაცვის ულტრავალებულ პრინციპების მიზანით მოქმედებს უსასყიდლოდ ეწევიან და მოქმედებენ სახელმწიფო მართვის ორგანოებთან ხელშეკრულების საფუძველზე. კერძო დაფინანსების მაგალითად შეგვიძლია ასევე მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირში მოქმედი წესი – ფასიანი მომსახურება, რომელსაც ეწეოდნენ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში, შესაბამისობაში მოდის მსოფლიოში კარგახანია ცნობილ და საქართველოში ნორმად მიღებულ თანაგადასდებთან (თანაგადახდის სიდიდე დადგენილია ნორმატიული აქტით).

ვის სისტემა, რომლის მირთადი მიზანი სისტემის განვითარება და საქუთარი ინტერესების განხორციელებაა, მოგების მიღების გათვალისწინებით.

კერძო ჯანდაცვის სისტემა საქართველოში ვითარდება შემდეგი ფორმებით:

- კერძო (საერთო) პრაქტიკის ექიმები და მედიცინის სხვა სპეციალისტები, რომლებიც დაკავებული არიან სამედიცინო მომსახურების გაწევით, მაგრამ რამდენიმე თრგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ გააჩნიათ;

- საიჯარო, ერთი პირის საწარმოების სახით, რომლებიც იურიდიული პირები არიან (საოჯახო ბიზნესი);

- საშუალო და მსხვილი სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა თრგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა ჯანდაცვის ობიექტების ერთმანეთთან შეერთებისა და დაჯგუფების ჩამოყალიბების ტენდენციები.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო საქუთრების დომინირება ხელს უშლის და ზღუდავს კონკურენტული ძალების ურთიერთმოქმედებას, ამასთან არ ვითარდება საბაზისო ურთიერთობები ჯანდაცვაში და, რაც მთავარია, სახელმწიფოს არ გააჩნია საქმარისი სახსრები, რომ მთელი ჯანდაცვის ობიექტების ქსელის საქმიანობა სრულად დააფინანსოს. კერძო ჯანდაცვის სისტემა ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში ქმნის პირობებს, რომ სამედიცინო მომსახურება ხდებოდეს კონკურენტულ გარემოში და ამის საფუძველზე უფრო წარმატებით განვითარდეს სამედიცინო მომსახურების ბაზარი. რაც უფრო ძლიერდება ჯანდაცვის ობიექტებს შორის კონკურენცია, მთო უფრო მიმდინარეობს ძიება სამედიცინო მომსახურების ისეთ ვარიანტზე, რომელიც შეამცირებს ხარჯებს მომსარებლის სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

კერძო ჯანდაცვის სისტემა მოწოდებულია მიიზიდოს დამატებითი ინვესტიციები ახალი შე-

ნობებისა და ინფრასტრუქტურების, ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შეძენა-დანერგვაზე. შედეგად მომსახურებელი დებულობს გაუმჯობესებულ და ინოვაციურ სამედიცინო მომსახურების ისეთ ფორმებს, რომლებზეც ადრე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ჯანდაცვის ობიექტების მმართველობა გამოკვეთოლია შემდეგი სახის მესაქუთრეთა მიხედვით: არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საავადმყოფოები, საავადმყოფოების 30%-ის მფლობელები კერძო პირები არიან. სადაზღვევო კომანიები კი საავადმყოფოების 42%-ის მფლობელებია (პოსპიტალური სექტორების ნაწილის პრივატიზაცია 2005 წლის შემდეგ დაიწყო).

ამ მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ კერძო ჯანდაცვის სისტემა მოქმედებს საქუთარი ინტერესების მიხედვით, სახელმწიფო ჯანდაცვა კი – მთელი მოსახლეობისათვის, რადგან მის მფლობელობაში ძირითად ფსიქიატრიული და სხვა სპეციფიკური სამედიცინო ობიექტებია.

საქართველოში მოქმედი სახელმწიფო (საჯარო)-კერძო პარტნიორობა ჯანდაცვის სისტემაში მიმართულია იმ მიზნისკენ, რათა უფრო გაიზარდოს ხელმისაწვდომობა სამედიცინო დახმარებაზე, ამაღლდებს სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სამედიცინო ობიექტებს შორის კონკურენციის დონე, მომსახურების ღირებულების შემცირების მიზნით.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა სახელმწიფო - კერძო პარტნიორობის განვითარების საქმეში გამოგვევნებინა პარტნიორობის ისეთი სახე, როგორიცაა სამეწარმეო თრგანიზაციის შექმნა, რომელსაც სახელმწიფო გადასცემდა რომელიმე ჯანდაცვის ობიექტს, რომლის ქონების 100% სახელმწიფოსი იქნებოდა, ხოლო სამეწარმეო კომპანია გაუწევდა ხელმძღვანელობას, წარმართავდა სამეცნიერო, მენეჯერულ საქმიანობასა და სამედიცინო მომსახურებას. ასეთ პარტნიორო-

ბას შორის განსხვავება ისაა, რომ აქ საკუთრება სახელმწიფოსია, ხოლო მმართველობა და საქმიანობა – კერძო ფირმისა. ასეთი სამეწარმეო ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია მოგების მიღებაზე, მისი საქმიანობის დაფინანსება უფრო მოსახერხებელია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე კერძო ინვესტიციებით. ასეთ ორგანიზაციებს შეიძლება გადაეცეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულება, რომელთა დაფინანსება ბიუჯეტიდან ხდება.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში [6] უკვე დაწყებულია მუშაობა სახელმწიფო -კერძო პარტნიორობის განვითარებაზე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში კი მუშაობენ კანონზე კერძო და საჯარო სტრუქტურების თანაარსებობის შესახებ, რაც მეტად დროულია, რაზეც ჩვენც მივუთითებთ [2]. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიციით, კერძო და სახელმწიფო კლინიკებს თანაბარი პირობები უქნება. ჩვენი აზრით, ასეთი მიღებობით არ მოხდება კერძო სააგადმყოფოების სამეურნეო, კლინიკურ და მმართველ საქმიანობაში ჩარევა. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების შესახებ ნორმატიულ დოკუმენტებსა და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობას, თავისთავად თანაბარი პირობები იქნება შენარჩუნებული. ჩვენი აზრით, ეს არის სახელმწიფო -კერძო პარტნიორობის სახელმწიფოებრივი მიღება, რითაც გაფართოვდება და განვითარდება კერძო ჯანდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთსასარგებლო საქმიანობის მეშვეობით უფრო ხელმისაწვდომს და ხარისხიანს გახდის სამედიცინო მომსახურებას.

## დასკვნა

ჯანდაცვის განვითარებას და, შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას ხელს უშლის სახელმწიფო საკუთრების დომინირება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეფექტიანად მოქმედებს სახელმწიფო - კერძო პარტნიორობა. საქართველოში ამ პარტნიორობას განვითარების ტენდენციები აქვთ. ჩვენი აზრით, ამ პარტნიორობის ეფექტიან ეტაპზე გადასაყვანად კარგი იქნება თუ გამოყენებული იქნება ჩვენი მიერ შემოთავაზებული საკითხები:

1. სამეწარმეო კომპანიის შექმნა, რომელსაც სახელმწიფო გადასცემს საკუთრებას სამართავად და გამოსაყენებლად ანუ სახელმწიფოს უნარჩუნდება 100% წილი, კომპანია კი ახდენს როგორც სამედიცინო მომსახურების გაწევას, ასევე სამეურნეო საქმიანობის მართვას;

2. საჭიროა დროულად მიღებულ იქნეს კანონი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის შესახებ, რითაც თანაბარ პირობებში უნდა მოექცეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამედიცინო ობიექტები.

3. დარეგულირდეს პარტნიორობის ადმინისტრაციული, საფინანსო, სამოქალაქო და ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი.

ცხადია, ეს არ არის ამომწურავი, მასალები მრავალფეროვანია, მაგრამ პარტნიორობის განვითარებაზე სახელმწიფოებრივი მიღება მრავალ პრობლემას მოაგვარებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს – მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;

4. მთავრობის დონეზე შეიქმნას სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საკონსულტაციო საბჭო ან კომისია და მაკონტროლებელი ორგანო.

## ლიტერატურა

1. State Healthcare Strategy of Georgia 2011-2015. "Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia". (In Georgian).
2. "Transparency International Georgia", The Georgian Hospital Sector, Tbilisi, 2012. (In Georgian).
3. T. Verulava. "Public-Private Partnership Model in Healthcare Sector", Tbilisi, "Liberali" managize 10.04.2015. (In Georgian).
4. E. Motsonelidze. "The Role of Public-Private Partnership for Enhancement of Organizational and Economic System of Healthcare", Business Engineering №4.2015, quarterly journal. (In Georgian).
5. G. Amkoladze. M. Pirtskhalava, M. Lomsadze-Kuchava, etc. "Management, marketing appeal and economic mechanisms of Healthcare, health improvement, prevention and recreation objects", Grant project (№252-2-8-166), Tbilisi, 2011. (In Georgian).
6. Statement of Georgian Government (2014. 26-12, №724) on approving the 2014-2020 government concept of "Public Healthcare and Quality Control for Protection of Patients Rights", Tbilisi, 2014. (In Georgian).

---

UDC 614:65

SCOPUS CODE 1401

## THE IMPORTANCE OF PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIP FOR ENHANCEMENT OF HEALTHCARE ACCESSIBILITY

**E. Motsonelidze** Department of Business Administration, Georgian Technical University, 77 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia

E-mail: info@geosis.edu.ge

**R. Kutatladze** Department of Business Administration, Georgian Technical University, 77 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia

E-mail: r.kutatladze@gtu.ge

### Reviewers:

**M. Lomsadze-Kuchava**, Professor, "Geemedi" university

E-mail: m2008@boom.ge

**G. Amkoladze**, Professor, Department of Power Engineering and Electromechanics, Faculty of Power Engineering and Telecommunications, GTU

E-mail: g2008@boom.ge

**ABSTRACT.** The issues and problems related to the enhancement of healthcare accessibility level are discussed and characterized in this work, on the basis of which organizational economic system of healthcare and public-private partnership will be developed.

The authors propose ideas for the development of public-private partnership in healthcare system. The timely processing of these ideas will ensure better levels of healthcare accessibility and higher quality of government healthcare policy.

**KEY WORDS:** accessibility of medical service; economic system, government and private system of healthcare; healthcare; public-private partnership.

UDC 614:65

SCOPUS CODE 1401

## ЗНАЧЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННО-ЧАСТНОГО ПАРТНЕРСТВА В ДЕЛЕ УЛУЧШЕНИЯ ДОСТУПНОСТИ МЕДИЦИНСКОГО ОБСЛУЖИВАНИЯ

- Моцонелидзе Э.Р.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: info@geosis.edu.ge
- Кутателадзе Р.Г.** Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: r.kutateladze@gtu.ge

### Рецензенты:

**М. Ломсадзе-Кучава**, профессор учебного университета «Геомед»

E-mail: m2008@boom.ge

**Г. Амколадзе**, профессор Департамента электроэнергетики и электромеханики факультета энергетики и телекоммуникации ГТУ

E-mail: g2008@boom.ge

**АННОТАЦИЯ.** Изучены вопросы и описаны проблемы, касающиеся улучшения качества доступности медицинского обслуживания, на основе которого будут развиваться организационно-экономическая система управления здравоохранением и государственно- частное партнерство.

Авторами намечены пути для развития государственно-частного партнерства в системе здравоохранения. Своевременное изучение имеющихся проблем сделает более качественным доступность медицинского обслуживания и государственную политику здравоохранения.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** государственно-частное партнерство; государственная и частная система здравоохранения; доступность медицинского обслуживания; здравоохранение; экономическая система.

**UDC 33 (076)**

**SCOPUS CODE 1405**

**06032010 მეცნიერების და მცირების და საშუალო საწარმოები**

**ე. შილაკაძე** ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
გ. კოსტავას 68<sup>ა</sup>  
E-mail: eshilakadze@gmail.com

**რეცენზენტები:**

**გ. ჯანიქაშვილი**, სტუ-ის რექტორის მრჩეველი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი  
E-mail:mikheiljanikashvili@gmail.com

**დ. თავხელიძე**, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის  
პროფესორი  
E-mail: tavkhelidze@gtu.ge

**ანოთაცია:** გამოსაკვლევი საწარმოების  
მდგრადი მომსახურების ანალიზის შემდეგ აუცილებელია  
მათი ფუნქციონირების მფექტურობის გაზრდის  
საკითხების განხილვა, რადგან ტრანსფორმა-  
ციული პროცესების დაწყების მომენტიდან მცი-  
რე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთი  
მასტაბილიზებელი ფაქტორი გახდა. საქმაოდ  
შემჭიდროებულ პირობებში განვითარებით, მრე-  
წველობის მცირე და საშუალო საწარმოების  
სექტორი მომწიფებულ სოციალურ კონფლიქ-  
ტების, გამოთავისუფლებული და დაუსაქმებელი  
თანამშრომლების ამოქმედებით ხელს უწყობს  
ეკონომიკის ტრანსფორმაციის, კონკურენტული  
გარემოს ფორმირების განხორციელებას.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური მეწარმე-  
ობა; კონკურენტული გარემო; მცირე და საშუ-  
ალო საწარმოები; საინოვაციო მენეჯმენტი; სა-  
ხელმწიფო პროგრამები.

**შესავალი**

მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოე-  
ბი მთელი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის  
განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი  
ნაწილია.

ზოგადად, მცირე ბიზნესი და ინოვაციური  
მეწარმეობა ერთი და იგივე არ არის. უმეტეს  
შემთხვევაში მცირე ბიზნესი არ არის ინოვა-  
ციური. ტერმინი „ინოვაცია“, მიუხდავად გან-  
მარტებათა სიმრავლისა, ყველაზე ზუსტად ამ  
ტერმინის ავტორმა ი. შუმპეტერმა განმარტა:  
„ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონე-  
ბა“ [1] აქედან გამომდინარე, ინოვაცია, ფართო  
გაგებით, ინოვაციური პროცესის საბოლოო  
შედეგია და ბაზარზე რეალიზებადი, ახალი ან  
სრულყოფილი პროდუქტის სახით გამოდის.  
შესაბამისად, ის მცირე საწარმოები, რომლებიც  
არსებული ან ახალი ტექნოლოგიით ახალ პრო-  
ცესების და მათი მომსახურების განვითარების გარემოს ფორმირების განხორციელებას.

დუქტს აწარმოებს, ახალი ტექნოლოგიით ცნობილ პროდუქტს, ასევე მცირე საინვაციო საწარმოებად გვევლინება [2].

საინვაციო მენეჯმენტი, საინვაციო საქმიანობა, როგორც ნებისმიერი სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა, მოითხოვს სათანადო მართვას ანუ საინვაციო მენეჯმენტს [3].

საინვაციო მენეჯმენტი მოიაზრება სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ახორციელებს უმაღლეს დონეზე. საინვაციო მენეჯმენტის მიზანია ფირმის (საწარმოს) მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური საქმიანობის (ბიზნესის) ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა: ახალი პროდუქციის დამუშავება და დანერგვა (საინვაციო საქმიანობა); იმ პროდუქციის მოდერნიზაცია და სრულყოფა, რომელსაც აწარმოებენ; პროდუქციის ტრადიციული სახეების წარმოების შემდგომი სრულყოფა; წარმოებიდან მოგველებული პროდუქციის მოხსნა. ყოველივე ეს განპირობებულია საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საბაზო ეკონომიკის პირობებში. საინვაციო მენეჯმენტში მთავარი ყურადღება ექცევა ინვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებიც მიმართულია მათ რეალიზაციაზე. ფირმის სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულება პროდუქციის ახალი სახეების დამუშავება და მისი წარმოებაა, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს ყველა დანარჩენი მიმართულების განვითარებას.

ამრიგად, საინვაციო მენეჯმენტის განხორციელება გულისხმობს: საინვაციო საქმიანობის გეგმებისა და პროგრამების დამუშავებას; ახალი პროდუქციის შექმნისა და მისი დანერგვის პროცესებისადმი დაკვირვებას; ახალი პროდუქტების შექმნის პროექტების განხილვას; ერთიანი საინვაციო პოლიტიკის გატარებას (ამ მიმარ-

თულებით საქმიანობის კოორდინაცია საწარმო სტრუქტურებში); საინვაციო საქმიანობის პროგრამების უზრუნველყოფას ფინანსური და მატერიალური რესურსებით, კვალიფიციური პერსონალით; დროებითი მიზნობრივი ჯგუფების (ადაპტური სტრუქტურების) შექმნას ინვაციური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის – იდეიდან პროდუქციის სრულ წარმოებამდე.

ინვაციური მენეჯმენტი გულისხმობს მართვის ისეთი სისტემის შექმნას, რასაც შედეგად მოჰკვება მისი გაიაფება, ოპერატიულობისა და მოქნილობის ამაღლება, ოპტიმალურობა და მომგებიანობის არსებითი ზრდა. ინვაცია დანერგილი სიახლეა, რომელიც თვისებრივად აუმჯჯობესებს საწარმოო პროცესებს და იმ პროდუქციის ხარისხს, რომელსაც ბაზარი ითხოვს [4].

ინვაციური საქმიანობის ისეთი მოქნილი ორგანიზაციული ქვესტრუქტურების შექმნა, რომელიც სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საცდელ-საკონსტრუქტორო და დანერგვითი სამუშაოების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს [5].

ინვაციური მენეჯმენტი მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების მრავალმხრივი საქმიანობის მუდმივი განახლებაა, კვლევებისა და იდეების წარმატებულ ბიზნესად გადაქცევის ორგანიზება და მართვა. თავისი არსით, ინვაციური მენეჯმენტი სხვა არაფერია თუ არა ცვლილებების მართვა, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდამდე მიღებების. სხვა სიტყვებით, ინვაციურ მენეჯმენტში უნდა გავიგოთ მმართველი ზემოქმედება მითითებული ფაქტორების ცვლილებაზე. ინვაციური მენეჯმენტი "არის სიახლეების, კვლევებისა და იდეების წარმატებულ ბიზნესად გადაქცევის ორგანიზება და მართვა, მოიცავს მარკეტინგს, აუდიტს, ინვესტიციებს, სამართალს და მენეჯმენტს კომპლექსურად [6].

აუცილებელია ინოვაციური მენეჯმენტის გამოყენება ქვეყნის მცირე და საშუალო საწარმოებში, საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით.

აღმოსავლეთის პარტნიორების სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა მეორე სამუშაო ჯგუფმა „ეკონომიკური ინტეგრაცია“ დაამუშავა და წარმოადგინა დოკუმენტის სახით: „საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში“ – რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას. დოკუმენტი ეხება საქართველოს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხს – საინოვაციო პოლიტიკას, ჩვენი აზრით, დღეოსათვის კარგად შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეიძლება დაგახსასიათოთ, როგორც საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების წინა ეტაპი. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკა როგორც ნორმატიული დოკუმენტების ერთიანი სისტემა ჯერ არ არსებობს, მაგრამ ინოვაციის საკითხები ჩართულია ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობის დღის წესრიგში [7].

მსოფლიოს საინოვაციო პროცესების შესწავლისა და საქართველოს ინოვაციის სფეროში მდგომარეობის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება ჩვენთან ნებატიურიდან პოზიტიურისკენ შეიცვალა. შეიქმნა წინაპირობები საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და მთავრობის მხრიდან პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისთვის, ინოვაციური განვითარების მიმართულებით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მაკროეკონომიკური ასპექტების და მენეჯმენტის საკითხების შესწავლასა და დამუშავებასთან ერთად, ქართულ სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში, სათანადო დონეზე შესწავლილი არის ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების

საკითხები; მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობაში შესაბამისად არ არის შექმნილი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ინსტიტუციური მოწყობის, მხარდაჭერის მექანიზმების, რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და ცალკეული კატეგორიების მეწარმეთა ხელშეწყობის მეთოდური და ორგანიზაციული საკითხები.

### ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირბებში სწრაფად ვითარდება ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საწარმოების მოთხოვნილებებს. კერძოდ, ბოლო 2–3 წლის განმავლობაში ინტენსიურად ვითარდება როგორც მცირე ბიზნესის დაკრედიტების საბანკო ფორმები, ისე მიკროდაფინანსების პროგრამები.

ამასთან, დაფინანსების არსებული შესაძლებლობები ვერ უზრუნველყოფს მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების მრავალ მოთხოვნას. ეს ეხება იმ საწარმოებსაც, რომლებიც უკვე მუშაობს ტრადიციულ სექტორებში, განსაკუთრებული ისეთ ჯგუფებს, რომლებიც იდებნ სტარტს და ინოვაციურ საწარმოებს.

მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ნებისმიერი საწარმო, სადაც დასაქმებულთა რიცხვი 250-მდე ან ზოგჯერ 500 ადამიანამდეა.

მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია შემდეგნაირად ხდება:

პირველი კლასი – დინამიკური და მოქნილი, ინოვაციების მიმართ მგრძნობიარე, დივერსიფიცირებული;

მეორე კლასი – საოჯახო (ტრადიციული), შემავალი ადგილობრივი ბიზნესის გარემოში;

მესამე კლასი („სტარტ-უპს“) – არამდგრადი, მებრძოლი არსებობისათვის.

მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები ნებისმიერი განვითარებული სამუშარეო სისტემის

უცვლელი ელექტრია, რომლის გარეშე ეცონომიკა და საზოგადოება მთლიანობაში ნორმალურად ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება. თუმცა, ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს მეცნიერებულ-ტექნიკურ დონეს და სამრეწველო პოტენციალს განსაზღვრავს მსხვილი საწარმოები, მაგრამ ამ ქვეყნების ცხოვრების საფუძველი მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოებია, როგორც საქმიანი ცხოვრების შედარებით მასობრივი, დინამიკური და მოქნილი ფორმა. ეს განპირობებულია ამ საწარმოების სექტორის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით, რომელიც აერთიანებს ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის მირითადი მასის სასიცოცხლო ინტერესებს.

მრეწველობის კონკურენტუნარიანი მცირება და საშუალო საწარმოების ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის კონკურენტული ტრიუსის შენარჩუნებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დაბაზულობის დაძლევაში, რაც დაკავშირებულია ზოგიერთი სამრეწველო პროგრამის სწრაფ დანერგვასთან ქვეყნაში, სადაც მოსახლეობას აქვს მცირებული შემოსავალი, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის არასაკმარისი დონე, ასევე კრიზისი, რომელიც მოედო მსოფლიო ეკონომიკას მოიცავს.

მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების ყოველწლიური დამტკიცებისა, რომლებიც მიმართულია მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოების განვითარების სტიმულირებაზე, საშუალებათა სუბსიდირებაზე ფადერალური, რეგიონალური და მუნიციპალური ბიუჯეტიდან, ეს ზომები ვერ შეუწყობს ხელს კარდინალურ ცვლილებებს ამ საწარმოების სფეროში, ვინაიდან მათი განვითარების დონე არასაკმარისი რჩება, გლობალურ საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციის განსახორციელებლად.

გამოსაკვლევი საწარმოების მდგომარეობის

ანალიზის შემდეგ აუცილებელია მათი ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდის საკითხზე გადასვლა, რადგან ტრანსფორმაციული პროცესების დაწყების მომენტიდან მცირება და საშუალო ბიზნესი გახდა ეკონომიკის ერთ-ერთი მასტაბილიზებელი ფაქტორი. საკმაოდ შემჭიდროებულ პირობებში განვითარებით, მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოების სექტორი მომწიფებული სოციალური კონფლიქტების, გამოთავისუფლებული და დაუსაქმებელი თანამშრომლების ამოქმედებით ხელს შეუწყობს ეკონომიკის ტრანსფორმაციის, კონკურენტული გარემოს ფორმირების განხორციელებას.

საკვლევი ობიექტების საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონმდებლობის ხარისხი და სახელმწიფო პოლიტიკის გამოყენებული ინსტრუმენტები, განვითარებული ნორმატიული აქტები, პროგრამები და სხვა.

საზღვარგარეთის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოებს პრაქტიკულად არ შეუძლია ფუნქციონირება სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. სამეცნიერებო სუბიექტების მონაცემების განვითარება ითვალისწინებს შესაბამისი რეგიონალური და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მათი განვითარების ხელ-საყრელ პირობებს: საგადასახადო და საფინანსო-საქრედიტო სტიმულირება, სამართლებლივი რეგულირება, სპეციალური ინსტიტუტები, რომლებიც წარმოდგენილი პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ან სახება მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ეფექტურობაზე.

ჩვენი აზრით, მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოებს შეუძლია უზრუნველყოს ის კონკურენტული გარემო, რომელიც ასე აკლია მრეწველობას. უნდა ვალიაროთ, რომ მრეწველობის მცირება და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის

რის სახელმწიფო სისტემის ძირითადი ელექტრობი და ატრიბუტები დღეს შექმნილია როგორც ფლერალურ, ისე რეგიონალურ დონეზე, თუმცა მთლიანობაში ეს სისტემა არაეფექტურია.

ასეთი სიტუაციის მიზეზები შემდეგშია:

არასაკმარისი სტიმული და გამოცდილება ამ საწარმოების განვითარებისათვის; იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ამ სექტორის განვითარებაზე, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა რეალიზებული; ცხადია, რომ მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში საჭიროებს განვითარებას და მათი პოტენციალი ამოუწურავია.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების როლი არ შეიძლება შეფასდეს ტრადიციულად, როგორც ხდება სტაციონარულ ეკონომიკაში, მაგ., მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ასეთი შეფასება ზედაპირულია. მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოებს, როგორც საზოგადოებრივი საწარმოების განსაკუთრებულ სექტორს, აქვს საქმაოდ უმნიშვნელო კუთრი წონა. მისი უდიდესი ნაწილი იმყოფება ჩრდილოვან ეკონომიკაში და არ აისახება ოფიციალური სტატისტიკაში ანგარიშით, თუმცა განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენის პირობებს.

მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ ინტერესი განპირობებულია ტექნილოგიური პროცესების სრულყოფის აუცილებლობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევის დანერგვის საფუძვლზე.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში ჯერ კიდევ საქმარისად არ არის ასახული მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის მართვის საკითხები.

ჩვენი აზრით, ქართული ეკონომიკის აღსად-

გენად აუცილებელია მცირე და საშუალო საწარმოების მაქსიმალურად გაზრდა; მცირე, საშუალო და მსხვილ სამრეწველო საწარმოებს შორის ურთიერთკავშირის განვითარების სტიმულირება; უცხოური გამოცდილების გამოყენება. ყველაფერი ეს უნდა გახდეს საერთო პოლიტიკის ნაწილი სამამულო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის სფეროში, ვინაიდან ბიზნესი მთლიანობაში, მასშიაბებისგან დამოუკიდებლად, ერთიანი ურთიერთდაკავშირებული პროცესია.

მსხვილი საწარმოები მოხვეჭილი პოზიციების შესანარჩუნებლად ბაზარზე და წარმოებაში მიდის მოდიფიკაციის და ტრადიციულად გამოშვებული პროდუქციის გაუმჯობესების გზებით, ორიენტირებულია ბაზრის გაფართოებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები ხელს უწყობს ახალი პროდუქციის შექმნას ანუ ქმნის ახალ ბაზრებს, შედარებით დინამიკურია ცვლად საბაზრო პირობებში, მუშაობს დიდი ეფექტურობით. მრავალი კვლევის მონაცემებით, წარმოების მცირე და საშუალო საწარმოები აწარმოებს ორჯერ უფრო მეტ სიახლეს, რომელიც მოდის ერთ თანამშრომელზე, ვიდრე მსხვილი საწარმოები.

მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები უფრო ხშირად ორიენტირებულია გვერდითი გადაწყვეტილებების და მსხვილი ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე, სარისკო, მაგრამ მცირე საქმიანობის შესრულებაზე, მეცნიერების მიერ მიწოდებულ შეკვეთებსა და ინიციატივის დამუშავებაზე. ამ საწარმოების უტყარი ჰპირატესობა ინოვაციურ სფეროში მსხვილ ბიზნესს აიძულებს მათთან თანამშრომლობას. ასეთი თანამშრომლობის ორგანიზაციული მექანიზმი შეიძლება იყოს:

-მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების კოპერაციული კავშირები მსხვილ საწარმოებთან (საბაზრო ინტეგრაცია);

-მსხვილი ბიზნესის მონაწილეობა დამოუკი-

დებელი მცირე და საშუალო საწარმოების ფორმირებაში, ბიზნესის კორპორაციული მომგებიანი ინკუბატორების შექმნის გზით, ვენჩურული დაფინანსება;

-მრეწველობის მცირე და საშუალო ავტონომიური საწარმოების შექმნა მსხვილ მასშტაბში, გამოყოფის ან შთანთქმის გზით;

-ურთიერთქმედების რამდენიმე ფორმის ერთდროული გამოყენება (საბაზრო ინტეგრაცია და ავტონომიური ქვედანაყოფები, საბაზრო ინტეგრაცია და ინკუბაცია).

ჩვენი აზრით, მრეწველობის მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების შესაქმნელად საჭიროა შემდეგი პირობები:

-კომერციული იდეა, რომელიც ასახავს სიახლის არსეს;

-საზოგადოებრივი მოთხოვნილება ამ სიახლეზ;

-ბიზნესმენი, რომელიც მზადაა მოახდინოს იდეის რეალიზაცია (რა თქმა უნდა, მისასალმებელია ფორმირებული გუნდის არსებობა);

-კაპიტალი.

დამოუკიდებელი ინოვაციური მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები წარმოიქმნება დამფუძნებლების საკუთარი კაპიტალის ან საბანკო კრედიტის მოზიდვის შემთხვევაში.

საინტერესოა გამოცდილება: სპინ-ოფი (ინგლისურიდან Spin-off) – მცირე ფირმა, რომელიც გამოყოფილი სამეცნიერო-სამრეწველო ორგანიზაციას, სამხედრო და კოსმოსური შემუშავების სამოქალაქო გამოყენებისთვის.

ასეთ ფირმებს ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაში (ინფორმაციული, ფინანსური, ორგანიზაციული, საგანმანათლებლო, იურიდიული).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი პირობები:

- ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური მდგრადიება;

- გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობა ახალ ტექნოლოგიებზე, პროდუქტებსა და მომსახურებაზე;

- ვენჩურული დაფინანსების განვითარებული სისტემა;

- ინოვაციური კულტურის მეცნიერებლ-ტექნიკური პოტენციალის მაღალი დონე ქვეყანაში;

- მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების, ტექნოპარკების, ვენჩურული ფონდების საქმიანობის კანონმდებლობით რეგულირება.

არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის კოპერაციის რამდენიმე ფორმა:

- მსხვილი ფირმების შეკვეთით მუშაობა (საბაზრო ინტეგრაცია);

- მცირე ნოვატორული ფირმების შექმნა უკალაზე მსხვილი საწარმოების მიერ (ადრე დამუკიდებელი მცირე ფირმების ჩართვა მსხვილი ფირმების შედგენილობაში (შთანთქმა));

- შთანთქმის და საბაზრო ინტეგრაციის ერთდროული გამოყენება (მარაოსებრი ორგანიზაცია);

- სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში.

ამასთან დაკავშირებით, მთავრობა ერველ-წლიურად ამჟმავებს მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერ პროგრამას. ანალოგიური პროგრამები მიიღება რეგიონალურ დონეზეც, თუმცა საქართველოში 10%-ზე ნაკლები მოდის მცირე საწარმოების წილზე (50%-ზე მეტი აშშ-ში). ასეთი სიტუაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებლობაა.

არსებული პრობლემები, ინოვაციური პროექტების უფასებური მართვის სფეროში, სამრეწველო საწარმოებში შეიცავს არა მხოლოდ რესურსების ნედლეულის ბაზის შეზღუდვას, არამედ განვი-

თარებული ინოვაციური კულტურის და ინფრასტრუქტურის არარეგულირებას, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზრის სტაბილურობას, სიცხადეს და ადეკვატურობას ინოვაციური პროექტების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესში.

ინოვაციური საქმიანობის მიმართ ყურადღება განპირობებულია იმით, რომ მოწინავე მსოფლიო სახელმწიფოები ისრაფვიან ტექნოლოგიური ლიდერობისა და საკუთარი ინოვაციური სისტემების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მთლიანი და ეფექტური სისტემის არქონის გამო, მათი ინოვაციური აქტივობის ზრდის სტრატეგია აისახება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საწარმოების ინოვაციური აქტივობის ეფექტურობის შეფასების სისტემის სრულყოფა გარაუდობს მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების შედეგების და პირობების კომპლექსური სისტემური ანალიზის ჩატარებას.

ამავე დროს, სახელმწიფო ინოვაციური პლატფორმის რეალიზებული ღონისძიებები, ჩვენი აზრით, ხელს არ უწყობს ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტურიანობას მსოფლიო და ადგილობრივი ბაზრებზე, უფრო მეტი შეიძლება ითქვას სახელმწიფოს მიერ მიღებული ვალდებულებების არაეფუქტურობაზე ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში, რაც განსაზღვრავს ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების მართვის შესაბამისი სისტემების ფორმირების აუცილებლობას ყოველ კონკურენტულ მცირე და საშუალო საწარმოებში.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში წამყვანი მრეწველობის მქონე ქვეყნებში მიიღეს კანონები, რომლებიც სტიმულს აძლევდა როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნესმენების საქმიანობას, მიმართულს მუშახელის პროფესიული და ინტე-

ლექტურული პოტენციალის განვითარებისკენ. ასე, მაგ., აშშ-ში გავრცელებულია გამონათქვამი – ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა საშუალებას იძლევა ვიპოვოთ ფირმის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები და გამოვიყენოთ ინოვაციური გარღვევისათვის.

მხოლოდ შეტევითი და აქტიური ინოვაციური პლატფორმის შეძლებს ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვან გარღვევას მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებაში, მის გადაყვანას ცხოვრების სხვა ღონებები. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციური პოტენციალი უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ და არა იმდენად საწარმოს იმიტაციური შესაძლებლობით „სხვათა“ სიახლეების აღქმაში, არამედ იმითაც, რომ თვითონ „შეიქმნას მომავალი“, დამოუკიდებლად გამოიმუშაოს გამაუმჯობესებები ცელილებები და ახალი ფასეულობები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელ მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობით დაკავებულია უპირატესად მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ფლობენ მაღალ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მოქნილობებს, რაც საშუალებას იძლევა სწრაფი რეაგირება მოხდეს ბაზრის მოთხოვნებზე, თუმცა მცირე საწარმოს მაღალი ინოვაციური პოტენციალი არასაკმარისადაა ამოქმედებული.

ცნობილია, რომ ძირითადი მიღებობა მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტივობის ზრდისადმი არის სისტემური, სიტუაციური, ფუნქციური, ღირებულებითი, საპროექტო და რესურსულ-პოტენციური. ამასთან, რესურსულ-პოტენციური მიღებობა უფრო საინტერესოა. იგი გამოიყენება საკმაოდ იშვიათად, თუმცა საშუალებას იძლევა შედარებით სრულად იქნეს გათვალისწინებული მცირე ბიზნესის საწარმოთა ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები, რესურსების კომპლექსური ანალიზის ხარჯზე. ამ შემთხვევაში მცირე ბიზნესის საწარმოების

ინოვაციური განვითარების შესაძლებლობაში უნდა გვესმოდეს საშუალებები და პირობები, რომლებიც აუცილებელია ეფექტური ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად.

ვაკეთებთ დასკვნას, რომ ინოვაციური განვითარების პრობლემები უდიდეს სირთულეს იქნება წარმოების მცირე და საშუალო საწარმოებში.

„მცირე ეკონომიკის“ წარმომადგენლები, როგორც წესი, არ ფლობენ საკმარის რესურსებს პროგრესული მმართველი ინოვაციების გამოყენებაში ანუ საკუთარი ინოვაციური პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებაში. ასეთ პირობებში საქმაოდ გართულებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირება, როგორც ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურების განუყოფელი ელემენტისა, რომელიც ფლობს ინიციატივას, რომელიც დამახასიათებელია ბიზნესაქტიურობისა და, ამ ინიციატივის რეალიზების შესაძლებლობით, დინამიკურად განვითარებადი კონკურენტული გარემოსთვის. მცირე და საშუალო საწარმოები აწყდება კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის პრობლემას როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ პერიოდში, და, ამ პრობლემის გადაჭრებლობის გამო, არ შეუძლია იმ განსაკუთრებული როლის რეალიზაცია, რომელიც მინიჭებული აქვს როგორც ეკონომიკის დომინირებულ სექტორს. მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები თავისებური პოლიგონია ბიზნესინიციატივისათვის, რომლებსაც სჭირდება ადეკვატური მმართველი მხარდაჭერა განვითარების ყველა სტადიაზე, დაწყებული ინოვაციური მიების გეგმორის განსაზღვრიდან და დამთავრებული პროდუქციის მასშტაბური წარმოებით, რომელიც პასუხებს სამომხმარებლო მოთხოვნის ყველა მახასიათებელს.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები განხილული უნდა

იყოს, როგორც მრეწველობაში ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთი ეფექტური მიმართულება.

სამამულო ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების მიმართულება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის პირობებში, რომელიც ვარაუდობს ორიენტაციას მაღალტექნოლოგიურ დარგებზე, ემთხვევა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის იდეოლოგიას, რომელიც მუშაობს საგარეო ბაზრებზე. კონცენტრირებული სახელმწიფო მხარდაჭერა სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს.

ჩვენი აზრით, ამ სფეროში ძირითად არაპირდაპირ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- კონსულტაციური და ინფორმაციული მხარდაჭერა;
- დახმარება საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობაზე;
- მარკეტინგული კვლევების მხარდაჭერა, რომლებიც ტარდება მცირე ბიზნესის სექტორში შემავალი ადგილობრივი კომპანიების მიერ, უფასო მარკეტინგული ინფორმაციის მიწოდება;
- ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრა საერთაშორისო ბაზარზე, რომლის მიზანია გაკეთდეს ინფორმაცია ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ და გახდეს ხელმისაწვდომი ექსპორტიორებისათვის.

მართვის სფეროში სიახლეების შესახებ ინფორმაციის არქონა და, შესაბამისად, მათი ვერ გამოყენება დიდი დატვირთვის გამო, მცირე და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელების აზრით არის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მმართველი სიახლეების დანერგვას. ვთვლით, რომ ამ ფაქტორების ნებაზრიული გაგლენის შემცირება მენეჯმენტის სფეროში ხელმისაწვდომი ინფორმაციული ბანკის შექმნის ხარჯზე შესაძლებელი.

სამუშაოები ამ ბანკის შექმნისა და წარმოებისათვის შეიძლება განხორციელდეს მცირე

ბიზნესის სტრუქტურების, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი სააგენტოს, მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ფონდების მიერ. იმის გამო, რომ მცირე და საშუალო საწარმოები არ ფლობს ინფორმაციას, საქმარისს საერთაშორისო გარემოს სტრატეგიული დაგეგმარებისა და ანალიზის ახალი მეთოდების რეალიზაციისათვის, ასეთი ინფორმაციული მხარდაჭერა შეუძლია მიიღოს საქალაქო ადმინისტრაციისა და ქვეგანყოფილებებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბიზნესის მხარდაჭერაზე და კავშირი აქვთ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციის.

კვალიფიციური დახმარებისა და კონსულტაციის მიღების ასამაღლებლად, რომელთა არქონა განიხილება მცირე საწარმოების ხელმძღვანელების მიერ როგორც ფაქტორის, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას, საჭიროა კონსალტინგური მომსახურების განვითარების მხარდაჭერა მენეჯმენტის სფეროში. ეს შეუძლია, პირველ რიგში, ბიზნესის მხარდაჭერ რეგიონალურ ფონდებს, სასწავლო-საქმიან ცენტრებს, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერ სააგენტოებს.

უცილებელია სპეციალიზებული სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული გამომცემლობებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესაძლებლობების გამოყენება ფართო ინფორმირებისათვის – ინოვაციურ პრობლემებზე სხვადასხვა კვლევის შედეგების შესახებ, მაგრამ ფასეული ორიენტირების მიზანმიმართული ცვლილებისათვის.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რისკთან, ვინაიდან მისი წარმატების სრული გარანტია ნებისმიერ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს, ჩვენი აზრით, განპირობებულია ადამიანური ფაქტორის როლით ზემოქმედების პროცესში, ასევე მართვის ობიექტის დინამიკით

და მისი გარემოთი. ეკონომიკური კონიუნქტურის არასტაბილურ პირობებში დანაკარგების წარმოქმნის რისკის პრობლემა ფირმის მიერ საშუალებების ჩადებისას ინოვაციაში განსაკუთრებით აქტივულური ხდება.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა შეუძლებული უნდა იყოს არა მარტო ინსტიტუციური საქმიანობის ერთეულებთან, ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზასთან, მიკრო- და მაკროდონების ურთიერთქმედების მექანიზმთან, არამედ ინოვაციური პროექტების ეფექტურობის კომპლექსური შეფასების პროცესებთან.

## დასკვნა

სიტუაცია მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტიურობის გაზრდის სფეროში შეიძლებოდა პრიციპულად შეცვლილიყო თუ შესაძლებლობა ექნებოდა კონტაქტი დაემყარებინა სამეცნიერო ინსტიტუტებთან ინოვაციური ფორმით და მიეღო მისგან შეღწევა კონკურენტურიან დამუშავებაში, რომლის მეშვეობით შეიძლება მაქსიმალურად შეცირდეს იმპორტული კომპონენტების წილი დანადგარებში. საჭირო ინვესტიციების საერთო დირექტულება პროექტში შეიძლება შემცირდეს იმდენად, რომ წლიური მოგება კაპიტალდაბანდებაზე გახდეს 25%. ამით გაფართოვდება პოტენციური ინვესტორების წრე იმ ეკონომიკური სუბიექტების ხარჯზე, რომლებიც სტაბილურ და საიმედო სფეროებს ეძებენ კაპიტალის დასაბანდებლად, მოგების მიღების პერსპექტივით.

კვლევითი სექტორის ინოვაციური პოტენციალის ეფექტური მართვისათვის აუცილებელია საწარმოებში მართვის კომპლექსური სისტემის, მენეჯმენტის ფორმირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად განვავითაროთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მრეწველობის მცირე და საშუალო

საწარმოების ინვაციური პოტენციალი.

ინვაციური მენეჯმენტის განვითარება პრიორიტეტი მიმართულებაა, ინვაციური მენეჯმენტი კი მცირება და საშუალო საწარმოების საქმიანობის სხვადასხვა მხარის მუდმივი განახლების პროცესი. ინვაციური მენეჯმენტი სხვა არა-

ფერია, თუ არა ცვლილებების მართვა, რომელსაც მივყავართ მცირება და საშუალო საწარმოების კონკურენტუარიანობის ზრდისკენ, მართვის განვითარების ინვაციის საფუძველზე. ინვაციური მენეჯმენტი არის მმართველი ზემოქმედება მითითებული ფაქტორების ცვლილებაზე.

## ლიტერატურა

1. J.A. Schumpeter. The Theory of Economic Development. Monograph. "Directmedia Publishing". 2008. Scanned pages. pp. 400.  
<http://institutions.com/download/books/1959-teoriya-ekonomicheskogo-razvitiya-shumpeter.html>
2. T. Vashakidze. "Supporting Innovative Small Enterprises in EU" Tbilisi, 2009.  
<http://www.inovdev.ge/uploads/files/95282T.Vashakidze.pdf>
3. G. Shubladze. B. Mghebrishvili, P. Tsotskauri. Management Basics.  
<http://www.bpa.ge/book/book02.pdf>
4. G. Keshelashvili. Innovative Management and Its Prospects in Georgia. Economics and Business: International Refereed Scientific and Practical Journal, 2013: №3, May-June. (In Georgian).
5. A. Sisavadze. Innovation as the Foundation of Successful Business.  
<http://www.nplg.gov.ge/gsd>
6. I. Masurashvili. Turning Innovation into Successful Business, Banks and Finance, 13.04.2013.  
<http://old.bfm.ge/index.php?newsid=5543#.VooclLaLSM8>
7. O. Shatberashvili, G. Kochoradze, M. Tsatsanashvili. "Economic Integration" Innovation Policy in Georgia: Recommendations to the Georgian Government.  
[http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper\\_WG2\\_Inovacia.pdf](http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf)

**UDC 33 (076)**  
**SCOPUS CODE 1405**

## **INNOVATIVE MANAGEMENT AND SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES**

**E. Shilakadze** Department of transport control and mechanical engineering, Georgian Technical University, 68<sup>a</sup> M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: eshilakadze@gmail.com

**Reviewers:**

**M. Janikashvili**, Adviser to the Rector of GTU, Doctor of Technical Sciences

E-mail: mikheiljanikashvili@gmail.com

**D. Tavkhelidze**, Professor, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, GTU

E-mail: tavkhelidze@gtu.ge

**ABSTRACT.** After the analysis of condition of enterprises, it is very important to discuss the issues of enhancing their effective functioning, because from the moment of transformative processes small and medium-sized business became one of the stabilizing factors for the economy. Developing in very tight conditions, small and medium industry sector supports transformation of economy and establishment of competitive environment with mature social conflicts through engaging the available and unemployed workforce.

**KEY WORDS:** competitive environment; innovative industry; innovative management; small and medium enterprises; state programs.

**UDC 33 (076)**  
**SCOPUS CODE 1405**

## **ИННОВАЦИОННЫЙ МЕНЕДЖМЕНТ И МАЛЫЕ И СРЕДНИЕ ПРЕДПРИЯТИЯ**

**Шилакадзе Э.В.** Департамент менеджмента транспорта и машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68<sup>a</sup>  
E-mail: eshilakadze@gmail.com

**Рецензенты:**

**М. Джаникашвили**, доктор технических наук, советник ректора ГТУ

E-mail:mikheiljanikashvili@gmail.com

**Д. Тавхелидзе**, профессор факультета аграрных наук и инженерии биосистем ГТУ

E-mail: tavkhelidze@gtu.ge

**АННОТАЦИЯ.** После анализа состояния исследуемого предприятия необходимо рассмотреть вопросы повышения эффективности его функционирования, поскольку с момента начала трансформационных процессов малый и средний бизнес стал одним из стабилизирующих факторов экономики.

Развиваясь в стиснутых условиях, секрет малых и средних промышленных предприятий способствует назреванию социального конфликта приведением высвобожденных и безработных сотрудников к трансформированию экономики, осуществлению формирования конкурентной среды.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** государственные программы; инновационное предпринимательство; информационный менеджмент; конкурентная среда; малые и средние предприятия.

**UDC 669.168:553.3**

**SCOPUS CODE 1508**

**სილიკონის მანქანის მარაგის მარაგის მანქანის სასარგებლობის გაზრდას**

<b>ა. სიმონგულაშვილი</b>	მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69 E-mail: Z.Simongulashvili@yahoo.com
<b>გ. ქურდაძე</b>	მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69 E-mail: g.kurdadze@galloys.com
<b>რ. აბესაძე</b>	მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69 E-mail: raminiabesadze123@mail.ru
<b>ბ. მაისურაძე</b>	მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69 E-mail: b.maisuradze@yahoo.com

**რეცენზენტები:**

- ბ. გოგიჩაშვილი,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: 1955boris@rambler.ru
- თ. ბუჩუკური,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: t.buchukuri@gtu.ge

**ანოთაცია:** ნაშრომში მოცემულია სილიკონგანუმის მიღების ტექნოლოგიის ანალიზი და განხილულია, რა გავლენას ახდენს მიღებული ლითონის შედგენილობა მანგანუმის სასარგებლო გამოყენებაზე. ექსპერიმენტული, სამრეწველო დნობის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენ-

დებულია, მანგანუმის ამოკრეფის გაზრდის მიზნით, გამოდნობილ იქნეს მანგანუმის დაბალი და სილიციუმის მაღალი შემცველობის დიოთონი.

**საბგანძო სიტყვები:** ამოკრეფა; ლითონი; მანგანუმი; სილიკონგანუმი; სილიციუმი; წილა.

## შესავალი

ცნობილია, რომ მანგანუმიანი ფეროშენადნობების (სილიკომანგანუმის) გამოდნობის პროცესის ტექნოლოგიის ხარისხით მაჩვენებლები ძირითადად ხასიათდება წამყვანი ელემენტების შენადნობში ამოკრეფის სიდიდით და მისი ოქსიდების შემცველობით საბოლოო წილებში. მანგანუმიანი ფეროშენადნობები ძირითადად იწარმოება ნახშირბადთერმული უწყვეტი პროცესით, რომელიც გულისხმობს მანგანუმ-შემცველ ნედლეულში არსებული ოქსიდების აღდგენას კოქსის ნახშირბადით.

სასაქონლო სილიკომანგანუმის მიღების თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მანგანუმის დანაკარგის (18–20%) ძირითადი წყარო ე.წ. „გადასაყრელი“ (საბოლოო) წილებია. ბოლო წლებში ფეროშენადნობთა ქარხნების მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ როგორც მძლავრ, ასევე მცირე სიმძლავრის დუმლებში სილიკომანგანუმის დნობისას მანგანუმის დანაკარგი მუდმივად იზრდება, რომლის ძირითადი მიზეზი მაღალხარისხოვანი მანგანუმის მაღნების დეფიციტია (სიძირე) და, შესაბამისად, მისი ხარისხის გაუარესება. ყოველივე ეს კი საბოლოოდ იწვევს საღნობი აგრეგატების წარმადობის შემცირებას, წილის ჯერადობის და, შესაბამისად, მანგანუმის დანაკარგის გაზრდას [1–3]. ამიტომ, მანგანუმის დანაკარგის შემცირება ელექტრომეტალურგიული გადამუშავების პროცესში მეტად აქტუალური ამოცანაა და გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.

## ძირითადი ნაწილი

დადგენილია, რომ მანგანუმის შემცველობა სილიკომანგანუმის საბოლოო წილებში განისაზღვრება ტოლობით [4–5]:

$$(MnO)^2 = \frac{[Mn]^2 \cdot (SiO_2)}{K_{Si-Mn} \cdot [Si]},$$

სადაც  $(MnO)$ ,  $(SiO_2)$ ,  $[Si]$ ,  $[Mn]$  არის წამყვანი კომპონენტების შემცველობა წილისა და ლითონური,  $K_{Si-Mn}$  – სილიკომანგანუმის წარმოქმნის წონასწორობის კონსტანტა.

როგორც მოცემული გამოსახულებიდან ჩანს, საბოლოო წილებში მანგანუმის შემცველობა ძირითადად დამოკიდებულია ლითონური სილიკოუმისა და მანგანუმის კონცენტრაციაზე, რაც დადასტურდა ჩატარებული კვლევებით.

ელექტროდნობის რეალურ პირობებში მანგანუმის ამოკრეფის სიღრმე დამოკიდებულია ლუმლის აბაზანაში წარმოქმნიდ თერმოდინამიკურ პირობებზე, რომლებიც განისაზღვრება პროცესის ტემპერატურით და კაზმში აღმდგენის რაოდგნობით (ჩვეულებრივად იგი გამოისახება, როგორც კოქსში არსებული მყარი ნახშირბადის ფარდობა კაზმში მანგანუმის კონცენტრაციასთან –  $C_{Mn}/(Mn)$ ). მოცემულ ფაქტორებზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამოყენებული მანგანუმშემცველი ნედლეულის ხარისხი, პირველ რიგში მანგანუმის შემცველობა [6–8], აგრეთვე სილიკოუმის ოქსიდის და სხვა ფუძეების თანაფარდობა, რომელთა კაზმში დამატება განპირობებულია სხვადასხვა ფლუსის წარმომქმნელი მასალების შეყვანის აუცილებლობით. განხილული ფაქტორები ახასიათებს ტექნოლოგიის ხარისხის მხარეს, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მანგანუმის განაწილებას დნობის პროდუქტებს შორის [9–10].

საცდელი დნობები, რომლებიც მიზნად ისახავდა მანგანუმით და სილიკოუმით სხვადასხვა შემცველობის სილიკომანგანუმის მიღებას, ჩატარებულ იქნა 5 მგა სიმძლავრის მაღალმდგრენ ელექტროდუმელში. ღუმელი აღჭურვილია 400 მმ დიამეტრის გრაფიტირებული სამი ელექტროდით. მაგვა ელექტროდებზე იყო 110 კოლტი, დენის ძალა – 18–20 კილოამპერი.

საგაზმე მასალებად გამოყენებული იყო ჭიათურის მანგანუმის კონცენტრაციი ( $Mn - 40\%$ ), ბოლნისის კვარციტი ( $SiO_2 - 94\%$ ) ქ.წ. წილის ქერქული ნარჩენები ( $Mn - 15 - 16\%$ ), კირქვა, კოქსი და რკინის ხენჯი ( $Fe - 70\%$ ). დნობის ყველა სერიაში წილის ფუძიანობა მუდმივი იყო ( $CaO / SiO_2 = 0,5$ ).

გამოდნობილ იქნა სილიკომანგანუმი მანგანუმის  $65 - 66$ ,  $68 - 70$ ,  $72 - 74\%$  და სილიციუმის  $14 - 15$ ,  $1 - 17$ ,  $19 - 20\%$  შემცველობით. სილიკომანგანუმის მიღების პროცესის ძირითადი მაჩვენებლები მოყვანილია ქვემოთ და ნახაზებზე (1-4).


ცხრილი 1

#### ფეროსილიკომანგანუმი ( $0,3 - 0,5\% P$ )


- მანგანუმის შემცველობა ლითონში  
[ $Mn$ ], % -  $65 - 74$
- მანგანუმის სასარგებლო გამოყენების კოეფიციენტი  
 $\eta_{Mn}$ , % -  $72 - 84$
- სილიციუმის სასარგებლო გამოყენების კოეფიციენტი  
 $\eta_{Si}$ , % -  $35 - 45$
- წილის ჯერადობა  
 $K$  -  $1,1 - 1,5$
- კაზში მყარი ნახშირბადის ფარდობა მანგანუმთან  
 $C_{\text{გ}} / Mn$  -  $0,35 - 0,41$

- კაზში  $Mn$ -ის ფარდობა  $SiO_2$   
 $Mn / SiO_2$  -  $0,85 - 1,0$
- მანგანუმის მასური წილი გამოყენებულ ნედლეულში  
 $< Mn >, \%$  -  $36 - 42$
- მანგანუმის მასური წილი წილაში  
( $Mn$ ), % -  $10 - 15$


დნობათა შედეგების დამუშავებით დადგინდა დამოკიდებულება მანგანუმისა და სილიციუმის შემცველობას და მანგანუმის სასარგებლო გამოყენებას შორის. ლითონში სილიციუმის რაოდენობის გაზრდა და მანგანუმის კონცენტრაციის შემცირება იწვევს საბოლოო წილების ჯერადობის და მანგანუმის რაოდენობის შემცირებას.




ნახ.1. მანგანუმის სასარგებლო გამოყენების (1) და წილაში მანგანუმის შემცველობის (2) დამოკიდებულება ლითონში მანგანუმის შემცველობაზე



ნახ. 2. მანგანუმის სასარგებლო გამოყენების ( $\eta_{\text{Mn}}$ ) (1) და წილაში მანგანუმის შემცველობის (Mn) (2) დამოკიდებულება ლითონში სილიციუმის შემცველობაზე [Si]



ნახ. 3. მანგანუმის სასარგებლო გამოყენების ( $\eta_{\text{Mn}}$ ) (1) და წილის ჯერადობის ( $K_{\text{კ}_\text{ერ}}$ ) (2) დამოკიდებულება ლითონში მანგანუმის [Mn] და სილიციუმის [Si] შემცველობაზე



ნახ. 4. მანგანუმის სასარგებლო გამოყენების ( $\eta_{Mn}$ ) (1) და ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯის ( $Q_{k\vartheta}$ ) (2) დამოკიდებულება მანგანუმის კონცენტრაციაზე გამოყენებულ ნედლეულში,  $\langle Mn \rangle$

ასე, მაგალითად, 72–74% მანგანუმის და 14–15% სილიციუმის შემცველობის სილიკონან-

განუმის გამოდნობისას წილის ჯერადობა იყო 1,4, მასში მანგანუმის შემცველობა 13–14%, მანგანუმის სასარგებლო გამოყენება – 74%. ისეთი შედგენილობის სილიკონანგანუმის გამოდნობისას, რომელშიც მანგანუმის შემცველობა იყო 65–66%, სილიციუმის 19–20%, წილის ჯერადობა იყო 1,2, მასში მანგანუმის რაოდენობამ 9–10% და მანგანუმის სასარგებლო გამოყენებამ 82%-ს მიაღწია.

### დასკვნა

მანგანუმის კონცენტრატების ხარისხის გაუარესების და, შესაბამისად, მისი დირექტულების მუდმივად ზრდის ტენდენციების პირობებში მანგანუმის სასარგებლო გამოყენების გასაზრდელად, მომხმარებელთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია, რომ გამოდნობილ იქნეს სილიკონანგანუმი მანგანუმის 65–66% და სილიციუმის 19–20% შემცველობით, რაც საბოლოო ჯამში მანგანუმის სასარგებლო გამოყენებას 7–8% გაზრდის.

### ლიტერატურა

1. M. Gasik, B. Emlin. Electrometallurgy of ferroalloys. – Kiev: Vysshaya Shkola, 1983. - 374 p. (In Russian).
2. A. Aleksandrov, N. Dekhanov, V. Murakhovski. Ways to improve the extraction of manganese in the smelting of silico-manganese. Improving the technology of production of manganese alloys. Tbilisi, 1983, 324-325 pp. (In Russian).
3. A. Koval, M. Gasik, I. Luborets, etc. Comparative evaluation of the quality of raw material for smelting manganese alloys. Steel. 1997, №1. 27-30 pp. (In Russian).
4. M. Gasik. Manganese. – M.: Metallurgy, 1992.-608 pp. (In Russian).
5. N. Tolstoguzov. The theoretical foundations of the recovery of manganese, silicon and impurities in the smelting of ferromanganese and silico-manganese: tutorial – Novokuznetsk: SibMI, 1991.-128 pp. (In Russian).
6. M. Gasik, V. Ishutin, V. Shevchenko, etc. Increasing the extraction of manganese in smelting manganese metal modified with iron. Steel. 1985, №6, 38-41pp. (In Russian).
7. M. Gasik. Electrothermy of manganese. – Kiev: Techniques, 1979.-196 p. (In Russian).
8. B. Velichko, V. Gavrilov, M. Gasik, etc. Metallurgy of manganese in Ukraine. - Kiev: Techniques, 1996.-472 p. (In Russian).
γ→B გარდაქმნის ტემპერატურაზე ( $t_d \leq 450^{\circ}\text{C}$ ) მოთავსებულ ნიმუშში იწყება ბეინიტური გარდაქმის პროცესი. ჯერ ადგილი აქვს ნახშირბადის გადანაწილებას, წარმოიქმნება ნახშირბადით დარიბი და მდიდარი უბნები. დარიბ უბნებში მაშინვე სრულდება γ→α გარდაქმნა უდიფუზიონ მარტენიტული მექანიზმით, ხოლო ნახშირბადით მდიდარ უბნებში წარმოებს კარბიდების გამოყოფა, რასაც მოჰყვება ნახშირბადის შემცირება და ბოლოს სრულდება იგივე γ→B გარდაქმნა. ეს პროცესი ბოლომდე არ მიდის და რჩება გარდაუქმნელი აუსტენიტი ეწ. ნარჩენი აუსტენიტი – γ<sub>r</sub>. ADI-ის თერმული დამუშავების ცნობილი „ფანჯარა“ (მომენტი, როცა ნახშირბადით დარიბ უბნებში ბეინიტური გარდაქმნის პროცესი  $\gamma_{\text{დალ}} \rightarrow B$  მთავრდება, ხოლო ახალი ფაზების – მარტენიტისა და კარბიდების კრისტალებმა ჯერ ვერ მოასწრეს, მოახერხეს ჩამოყალიბება ნახშირბადით მდიდარ უბნებში) ძნელად გამოსაყენებელია. თუ ეს მომენტი გამოგვეპარა, საგრძნობლად შემცირდება  $\gamma_r$  უბნები, სადაც ოთახის ტემპერატურაზე მაღეფორმირებელი ძალის მოქმედებით ( $\gamma_r + P_{\text{დალ}} \rightarrow \text{TRIP-ეფექტით}$  განვითარებული პლასტიკურობა) განხორციელ-

დება „გგპ“ ეცქტი („გგპ“ – გარდაქმნით განპირობებული პლასტიკურობა; ПНП – Пластичность, наведённая превращением; TRIP - Transformation-Induced Plasticity). თუ გრაფიტის სფერული ფორმა წვეულებრივ პირობებში (თერმული დამუშავების გარეშე) უზრუნველყოფდა თვისებათა გარკვეულ გაუმჯობესებას პლასტიკურობის ჩათვლით, ეს არასაკმარისია თდ-ს დროს. უკონტროლოდ წარმოქმნილი ახალი ფაზები ამჟიფებს შენადნობს. გაჭიმვის „მრუდებს“ წრფივი ხასიათი აქვს, მყიფე ნგრევით და სხვა.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ბეინიტური თუჯის ათვისება ძალზე პერსპექტიულია, რადგან მისგან ჩამოსხმით მზადდება მიღსაგლინავი დგანები (სამართულები და სახაზავები), ათვისებული იქნება წვრილსორტული დგანის არმატურა, შემდეგ გლინები და სხვა. აღნიშნულის გამო, წარმოდგენილი თემატიკა აქტუალურია.

## ძირითადი ნაწილი

ჩვენი წინადადებით შპს „რუსთავის ფოლადში“ დაიგეგმა და დაიწყო სამუშაოები ორივე მომართულებით – ADI-ის ( $350\text{C1H02}$ ) და ბეინიტური კლასის თუჯის მიმართულებით ( $350\text{C1H02DH5MFT}$ ). რა თქმა უნდა, ADI-ის მომართულებას სჭირდება სამართულების ჩამოსასხმელი კოკილების (ამ მხრივ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ყველაზე დიდი ზომის სამართულების,  $D=440$  მმ ჩამოსასხმელად) და აბაზანების დამზადება: გამახურებელი აბაზანა:  $50\% \text{NaCl} + 50\% \text{KCl}$ ,  $t_{\text{დ}}=670^{\circ}\text{C}$ ,  $t_{\text{გა}}=750-900^{\circ}\text{C}$ ; იზოთერმული წრთობის აბაზანა:  $50\% \text{NaNO}_3 + 50\% \text{KNO}_3$ ,  $t_{\text{დ}}=220^{\circ}\text{C}$ ,  $t_{\text{გა}}=300-450^{\circ}\text{C}$ . აღმოჩნდა, რომ ADI-ის დამზადებას სჭირდება საკმარისად დიდი დრო. ეს ვაკუუმი უნდა შეგვევს 350C2H2DMFT ბეინიტური კლასის თუჯის მოდერნიზაციით, რომელიც ჩატარდა წარმატებუ-

ლად და ახალ თუჯს შემდეგი სახე აქვს:  $350\text{C1H02DH5MFT}$ . მასში ბევრი სიახლეა, მაგრამ როგორც ამბობენ, მხოლოდ კვალიფიციურად ჩატარებულ ექსპერიმენტებს შეუძლია დამაჯერებელი ასეუხის გაცემა. ჩვენი აზრით, თუ ახალ თუჯს ექნება მაღალი მედეგობა ( $n \geq 500-800$  მილი), მაშინ შემომგლინავი დგანების სამართულების წარმოება არ შეიცვლება, ხოლო აბაზანებს ექნება არანაკლებ მასშტაბური სამუშაოები.

ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მივეღით იმ დასკვნამდე, რომ ადებული მიღსაგლინავი აგრეგატის, მაგალითად, „400“-ის მუშაობა, დაკაგშირებული ინსტრუმენტთან, პრობლემაა, თუმცა მისი მდგრენელების ამოცანებიც პრობლემურია. განვიხილავთ მთლიანი სამუშაოს სქემას – გახურებული მიღნამზადიდან მიღების გლინგას პირველ და მეორე გამჭოლ, ავტომატურ, შემომგლინავ დგანებზე და პროცესის დამთავრებას დამაკალიბრებელ დგანზე. სამართულების მასალად გამჭოლ დგანებზე გამოყენებულია უკვე წარმატებით აპრობირებული და რამდენჯერმე მოღერნიზებული კომპოზიცია  $08\text{XH4CDMF}$  (რეკორდული მონაცემები: 1000, 1500, 1700 მილი); ავტომატურ დგანზე გამოყენებული იქნება ახალი კომპოზიცია  $17\text{X5H4CDMF}$ , რომელიც მარტენსიტული და ბეინიტური გარდაქმნების სინთეზია დაბალი ნახშირბადის შემთხვევაში (არასასურველი შედეგების შემთხვევაში მზად ვართ გამოვასროლო მიღებული სუპერსიახლით – „ფანჯრის“ უარყოფითი შედეგის გამოყენება ADI-ის ზედაპირული შრეების განსამტკიცებლად). შემომგლინავი დგანების სამართულების კომპოზიციაზე ( $350\text{C1H02DH5MFT}$ ) უკვე გვქონდა საუბარი, ველოდებით დადებით შედეგებს კომპოზიციის სტრუქტურიდან. შეიძლება საჭირო გახდეს მოდიფიცირებისწინა ინოცულაციის ჩატარება ღუმელში; ასევე მიღსაგლინავი დგანების (გამჭოლი და შემომგლინავი) სახა-

ზავების წარმოება მაღალქრომიანი კომპოზიციის (110X28ДН5ФТ) გამოყენებით, რომელსაც აქვს ჩვენ მიერ შემუშავებული „შდეიფი“: საორიენტაციო სტრუქტურა: 1) ლეგირებული ფერიტი (ძირითადი), 2) 30% აუსტენიტი, 3) კარბიდები (იმედის მომცემია). შეიძლება დაგვჭირდეს Cr-ის ნიტრიდების გამოყენება.

გამოყენებული მიღგომა მასშტაბურია და არატრადიციული. ვიხილავთ მიღსაგლინავ აგრეგატ „400“-ის მუშაობის პროცესს უწყვეტად სრულად და ვგებმავთ, რომ პირველ ეტაპზე (2 წელი) ინსტრუმენტის მინიმალური მედეგობა<sup>1</sup> იქნება  $n_1 \geq 500$  მიღზე, მეორე ეტაპზე (5 წელი) –  $n_2 \geq 1000$  მიღზე. მოყვანილი პრობლემიდან გამოვყავთ ყველაზე სუსტი რგოლი – შემომგლინავი დგანების სამართულების ხანგამდლეობის საკითხი. სირთულეს, წინა დგანებთან შედარებით, განაპირობებს დეფორმაციისთვის არახელსაყრელი პირობები, სამართულის უძრაობა (იქნება შთაბეჭდილება, თითქოს მთავარი მიზანი იყოს სამართულების „დამტკრევა“) და სხვა. როგორც აღნიშნეთ, სასურველი იყო გვემუშავა ADI-ზე 350C1H02 სუპერსიახლის გამოყენებით, მაგრამ ეს საკითხი გადაიღო აბაზანებისა და კოკილების დამზადებამდე (2 წლით). მიღებული შედეგების ანალიზისას ყოველთვის გვაკლდა სხმულის (ნაკეთობის) მექანიკური თვისებების მახასიათებლები.<sup>2</sup> გვქონდა მცდელობა, ყველა ნადნობზე ჩამოგეხსნა სპეციალური სხმული, რომლისაგან დამზადდებოდა გამოსაცდელი ნიმუშები. აღნიშნულს ვერ ვახერხებდით ან შედეგი ძალიან იგიანებდა. დამზად-

და ტაიგანის მანქანაზე გამოსაცდელი ნიმუშების ჩამოსასხმელი კოკილების პირველი პარტია. ჩვენი მოთხოვნით სამსხმელო სამქროში ჩატარებულმა ყველა ნადნობმა უნდა გაიაროს კვალიფიცირებული შემოწმება:

1. შენადნობის ქიმიური შედგენილობა;
  2. გამოდნობის პასპორტი, რომელშიც მოცემული იქნება ყველა საჭირო (შესრულებული) მოქმედება (მომზადდება ინსტრუქცია, იქნება ფორმა, რომელსაც ოცატი ადვილად შეავსებს);
  - 2.1. ციცხვში გაიზომება ტემპერატურა და  $500^{\circ}\text{C}$  გახურებულ კოკილში ჩამოისხმება სინჯითხელდენადობის დასადგენად (ე.წ. ნებენ-სამარინის U-მაგვარი სინჯი);
  - 2.2. გაჭიმვაზე გამოსაცდელი ნიმუშების ჩამოსხმა: 1) გაშვების დამთავრებისა და ტემპერატურის გაზომვის შემდეგ (თხელდენადობასთან ერთად) და 2) ჩამოსხმის დაწყების წინ (ბეინიტური თუჯის შემთხვევაში: ა. გაშვების დამთავრების შემდეგ, ბ.  $1450\text{--}1280^{\circ}\text{C}$  დაყოვნების შემდეგ, გ. ჩამოსხმის დაწყებისას, დ. ჩამოსხმის დამთავრებისას). გამონაკლისის გარდა, საჭიროა გვქონდეს მონაცემები თლ-ს შემდეგ, რაც გასათვალისწინებელია ჩამოსხმის დროს.
- სამუშაოს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ჩაგვეტარებინა არსებული მონაცემების სრული ანალიზი ბეინიტურ თუჯებზე. რა თქმა უნდა, მეცნიერულ პიპოთეზაზე დაყრდნობით („სილიციუმის ზღურბლი რკინაში და ბეინიტური კლასის Fe-C შენადნობებში“, მისი მნიშვნელობა ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტისას) აღმოჩნდებდით ან შედეგი ძალიან იგიანებდა. დამზად-

<sup>1</sup>შემოგვაჭვს ახალი ცნება, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რომელია „ვიწრო ადგილი“ და სხვასთან შედარებით რით არის განპირობებული ასეთი შედეგები. რა თქმა უნდა, ამ მოქმედებას წინ უნდა უსწრებდეს ნადნობების სრული ანალიზი.

<sup>2</sup> ჩვენი გამოცდილებით ეს პრობლემური საკითხია და მის გარეშე ანალიზი არასრულყოფილია. სექტორის, შემდეგ „მთლ“-ის, ახლა „მთსსც“-ის მუშაობა სრულდებოდა ერთკერიანი რეჟიმით. თუ მოიხსენება პ-ნ ფარუების „ტბუ“, ჩვენ („მთსსც“-ს და „ფოლადსადნობ და სორტსაგლინავ“ მოდულს სცლ-თან ერთად) შეგვიძლია „ჩქარა“ შეგასრულოთ „B500W-ს წარმოება შპს „რუსთავის ფოლადის“ პირობებში; უნდა შემოწმდეს ყველა პროფილი №№ 32, 28, 25; 22, 20, 18; 16; 14, 12 მმ ხანგამდლეობაზე: ს<sub>K</sub>; ს<sub>B</sub>; ს<sub>ლ</sub>; დ(δ<sub>1</sub>+δ<sub>2</sub>); Ψ(Ψ<sub>1</sub>+Ψ<sub>2</sub>);  $a_{0.25}(a_{\beta}+a_{\delta})$ ; T<sub>50</sub>; J<sub>ic</sub>; E<sub>t</sub>; a<sub>T</sub>; σ<sub>-1</sub> და სხვა.

და, რომ ორივე მიმართულებას სჭირდება ძირეული ცვლილებები, კერძოდ აღებული მასალა გამოიყენება, თუ ექნება საკონსტრუქციო მასალისათვის საჭირო მონაცემები. შემომგლინავი დგანების სამართულების მედეგობა გაიზრდება, თუ მასალას ექნება პლასტიკურობის საკმარისი მარაგი. დადგენილია, რომ დეფორმაციის პირობებით საჭიროა რუხი თუჯის გამოყენება, რომლის მედეგობა 30–40 მილს არ აღემატება. რუხი თუჯის შეცვლამ სფერული ფორმის გრაფიტით (უფრო ზუსტად, გრაფიტის კომპაქტური ფორმით) გაზარდა მედეგობა 70–80 მილის ფარგლებში. პლასტიკურობისა და სიბლანტის კუთხით გაცილებით უკეთესი მედეგობა აქვს ფოლად 20X-დან დამზადებულ სამართულებს. ამ დროს, არცთუ იშვიათად, მილის შიგა ზედაპირზე წარმოიქმნება დეფორმაცია გადაჰყავს II ხარისხში. ბოლო პერიოდში მივედით იმ დასკვნამდე, რომ გამოყენებულ თუჯს საჭიროა პქნონებს  $\delta=10\text{--}15\%$ . ეს კი ასაბუთებს, რომ საჭიროა ბეინიტურ თუჯში განხორციელდეს ძირეული ცვლილებები ორივე მიმართულებით. ამოცანები ადვილად ამონებნებოდა, თუ ღრმად შევისწავლიდით ფუძეს (350C2, 350C3 და 350C1H01, 350C1H02), მაგრამ აბაზანების არარსებობამ ამ ამოცანების ამონებნის საკითხი რამდენიმე წლით გადასწია. აუცილებელი გახდა გრაფიტიზატორების მნიშვნელოვანი კორექციის ჩატარება. უფრო უფასო შედეგებით მიახლოება ბეინიტური კლასის საშუალონახშირბადიან ფოლადებთან. თუ ეს ადვილად მოხერხდებოდა, მაშინ არსებულ მასალებზე დაყრდნობით ბევრი ამოუსენელი ამოცანა ამონებნებოდა. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, თუჯში სილიციუმი შემცირებულ იქნა 1,0%-მდე, სანაცვლოდ შემოიტანეს ახალი გრაფიტიზატორები:  $A\ell=1,5\text{--}2,0\%$  და  $Ca=0,05\text{--}0,10\%$ . აღნიშნული მოქმედებით რკი-

ნის დარტყმითი სიბლანტე გაიზარდა  $K_{CU}=100\text{--}150 \text{ kN/mm}^2$ -ით, ე.ი. ახალმა გრაფიტიზატორებმა საგრძნობლად გააუმჯობესა რკინის ატომების ერთმანეთთან მიახლოება, გრაფიტიზაციის პროცესი ( $\Delta_2^{At}=-0,38\text{\AA}$ ,  $\Delta_3^{Ca}=-1,47\text{\AA}$ , 3-ჯერ მეტად) და იმავდროულად ფუძის პლასტიკურობა და სიბლანტე. მეცნიერულად დასაბუთებული ჩვენი მსჯელობა უფრო ახლოს იქნებოდა რეალურობასთან ADI-ის (350C1H02) შემთხვევაში, ვიდრე 350C1H02DH5MFT ტიპის ბეინიტური კლასის თუჯის გამოყენების დროს. უფრო სწორია დავვლოდოთ კვალიფიციურად ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებს. ერთი რამ უდავოა: ახალი გრაფიტიზატორები  $Al+Ca$  ნამდვილად გააძლიერებს ლითონური ბმის ძალებს და შეასუსტებს კოვალენტურს. ცნობილია, რომ მოდიფიცირების წინ და შემდეგ ტრადიციულად რკინის სჭირდება პასიურ მდგომარეობაში გადაყვანა – ინოკულაცია I და II. 50% ალუმინის მიწოდება ღუმელში ლოგიკური იყო, მაგრამ „შევეჯახეთ“ იმ წინამდებას, რომელსაც ტრადიციულად ვერ ლახავენ მეტალურგები. შემუშავებული გვაქს ალუმინის მიწოდების ხერხი ციცხვიდან, რომელიც უპრობლემოა. თუ ჩვენმა არჩეულმა გზამ არ გაამართლა, მაშინ საჭირო იქნება ცალკე გავადნოთ ალუმინი და მივაწოდოთ თხევადი აბაზანის სიღრმეში, რასაც დასჭირდება კარგი გააზრება და სპეციალური სამარჯვის დამზადება. როგორც აღნიშნეთ, ბეინიტური თუჯის ორივე მიმართულება საჭიროებს პლასტიკურობის გაზრდას,  $\delta=10\text{--}15\%$ . ეს პრობლემა მოვაგვარეთ ADI-ის შემთხვევაში თდ-ის სრულყოფით. სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, იზოთერმული წრთობის ტემპერატურა  $t_{0\text{to}}=400\text{--}450^\circ\text{C}$ , ე.ი. მუშაობა ზედა ბეინიტურ, რაც საშუალებას იძლევა გარეგულიროთ ნარჩენი აუსტენიტის რაოდენობა სასურველ დიაპაზონში. კომპოზიციის სტრუქტურული მდგრელების შედარებით უცვ-

დელი შენარჩუნებისათვის მიზანშეწონილია ვომუშაოთ A<sub>3</sub>-თან ახლოს, ამით არ გამოირიცხება A<sub>1</sub>-A<sub>3</sub> ტემპერატურულ შეალებში მუშაობა, სადაც 350C1H02-ის შემთხვევაში გვექნება ორი ფაზა – γ+ფერიტი, მაგალითად, 80%γ+20%α. ბეინიტური კლასის ჩვენ მიერ შემუშავებული ფოლადებიდან აღქმული ეს ხერხი წარმატებით გამოდგება ADI-ის დროსაც. სხვანაირად, რეგულირდება (იმართება) სასურველი (საჭირო) დონის ფერიტული მდგრენის არსებობა ბეინიტზე ნაწრობ სტრუქტურაში. მეცნიერულ დონეზე ზუსტად შესრულებული ყველა ეტაპი (დნობა ელექტრორკალურ ღუმელში, გაშვება, თხევადი ლითონის დამუშავება ციცხვში, ჩამოსხმა კოკილებში, გაწმენდა, თერმული დამუშავება და ა.შ.) საშუალებას მოგვცემს საჭირო მახასიათებლები გვქონდეს სამუშაო პირობებიდან გამომდინარე. ეს კი პრეციზიული, ზუსტი მეტალურგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანამ მოგვარდება ADI-სთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (კოკილები, აბაზანები და სხვა), ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს ბეინიტური კლასის 350C1H02ДН5МФТ მოდერნიზებულ თუჯზე. წარმოდგენილი კომპოზიციის მდგრენებიდან ღუმელში შეგვაქს: ნიკელი (5%), სპილენდი (1%), მოლიბდენი (0,3-0,5%); დანარჩენები (Al, Ca, V, Ti) – ციცხვის ქვეზე. თუ აღნიშნული მიღომით მივიღეთ კომპაქტური და ვერმიკულარული გრაფიტის ერთობლიობა, რაც ჩვენი მონაცემებით მოგვცემს δ=5–10%, რომელიც „ახალ ფენომენთან“ ერთად განაპირობებს n≥500 მილზე. თერმოციკლური დატვირთვების დროს ადგილი აქვს ფუძის განმტკიცებას არსებული პლასტიკურის შენარჩუნებით. შესაძლებელია შემდეგი შედეგი – გრაფიტის სფერული ფორმა კომპაქტურთან ერთად. ეს იქნება მსოფლიო დონის წარმატება (თუ თუჯში S≤0,01%, P≤0,01% და Al=2,0%+Ca=0,10% და სხვა), ხანგრძლივი

დაყოვნების (1500°C-დან-1280°C-მდე) შემდეგ შენარჩუნდება (თითქმის) მოდიფიცირებული გრაფიტის ფორმა, რომელიც მაღვეგირებულ ელექტრობთან ერთად (ყოველგვარი კოკილებისა და აბაზანების გარეშე) განაპირობებს n≥1000 მილზე; ეს ნიშნავს, რომ შპს „რუსთავის ფოლადი“ გახდება ბეინიტური თუჯისგან დამზადებული ნაკეთობების ექსპორტიორი.

სამუშაოში დამაჯერებლადაა მოცემული, რომ არსებული მიღსაგლინავი აგრეგატის მუშაობა (ჩვენს შემთხვევაში „400“-ის) უნდა განიხილობოდეს, როგორც უწყვეტი პროცესი და შემოტანილ იქნება „ვიწრო ადგილის“ მიხედვით „ინსტრუმენტის (სამართული, სახაზავი) მინიმალური მედეგობის შესახებ“. იქვეა ოპტიმიზმის მატარებელი ნიშანი, რომ 2 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი იქნება n≥500 მილზე. ხოლო 5 წლის შემდეგ – n≥1000 მილზე. აღნიშნული დასაბუთებულია მეცნიერულად. ავტორებს მიაჩნიათ, რომ პირველ პერიოდში მოგვარდება ტექნოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად მიმართული ყველა თრგანიზაციული საკითხი (სისტემატურ კონტროლზე იქნება საყალიბო მასალები, სხმული ლითონის დეფექტოსკოპური ანალიზი, შენადნობების თხელდენადობისა და გაჭიმვაზე გამოცდების შედეგები, ყოველ ნადნობზე შესრულებული მეტალოგრაფიული და დიურომეტრული ანალიზების შედეგები, ნაკეთობების საწარმოო გამოცდების შედეგები, ჯამური დასკვნები თითოეულ ნადნობზე და სხვა). ყველაფერი ეს მიგვიფვანს იმ დონეზე, რომ შედეგები იქნება სტაბილური, აგრეგატი იმუშავებს n≥1000 მილზე რეჟიმით. როცა დადგინდა ახალი მასალის –350C1H02ДН5МФТ სრული მახასიათებლები, მოიძებნება მისი გამოყენების სხვა სფეროებიც.

მიღსაგლინავ სამქროში 1 ტონა 350C2H2ДМ ტიპის ბეინიტური თუჯის დირებულება 2159 ლარს შეადგენს; ჩვენ მიერ შემოთავაზებული

350C1Ю2ДН5МФТ ტიპის კომპოზიციის ღირებულება კი 2288 ლარია ანუ 129 ლარით ძვირი. შემომგლინავი დგანის სამართულების მედგრიბის გაორმაგებისას მათი წლიური საჭიროება 60 ტონის ნაცვლად იქნება 30 ტონა (1 ტონის თვითდირებულებაა 5500 ლარი). თუკის ახალი, 350C1Ю2ДН5МФТ ტიპის კომპოზიციაზე გადასვლით წლიური გაძირება იქნება  $129 \times 30 = 3870$  ლარი. ეკონომიკური ეფექტი  $(5500 \times 30) - 3870 = 161130$  ლარი (ანგარიში შესრულებულია 2013 წელს). რაც შეეხება დღვევანდელ კომპოზიციას, 350C1Ю2ДН5МФТ პირველ ეტაპზე ველოდებით  $n \geq 500$  მილზე, ე. ი. 5-ჯერ გაზრდას.

დღეის მონაცემებით, 1 ტონა ლითონი ღირს: Al – 1450 USD; Cu – 4669 USD; Ni – 8955 USD; FeV – 15483 USD; FeMo – 15327 USD; ( $V_{100\%} = 34$  USD 1 კგ;  $Ti_{100\%} = 8$  USD 1 კგ). ზემომოცვანილი გათვლების სექმა ეკონომიკური ეფექტის ერთი სექტორია, რომელიც ძლიერდება ინსტრუმენტის ხანგამდლეობის გაზრდით. გარდა აღნიშნულისა, ჩვენს შეუფერხებელ მუშაობაში ვხედავთ ენერგომატარებლების დაზოგვას, რაც საგრმნობლად შეცვლის ეკონომიკურ სურათს. ასევე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დედამიწის ქრექში არსებული არადეფიციტური ელემენტების გამოყენებით ( $Si = 29,5\%$ ;  $Al = 8,8\%$ ;  $Fe = 4,65\%$ ;  $Ca = 2,60\%$ ;  $Mg = 2,40\%$ ;  $Ti = 0,45\%$ ...) სასურველი მიზნის მიღწევა, მაგალითად, ADI – 350C1Ю2 შემთხვევაში ( $C=3,5\%$ ;  $Si=1,0\%$ ;  $Al=2,0\%$ ;  $Ca=0,10\%$ ;  $Mg=0,10\%$ ;  $Ti=0,05\%$ ;  $V=0,20\%$ ; დანარჩენი  $Fe\%$ ) გვექნება იაფვასიანი, მაღალი საკონსტრუქციო მედეგობის, ფართო დიაპაზონში გამოსაყენებელი მასალა. არც ისე იშვიათად გვაძლევენ შენიშვნებს, რომ ვიყენებთ ძვირად დირებულ  $Ni$ ,  $Mo$ ,  $Cu$ , ( $V$ ) ელემენტებს. გამოდნობისას (ასევე გადადნობისას), განსაკუთრებით, პირველი სამი უმნიშვნელოდ იცვლება (თუ გავაკონტროლებთ დანომრილ სამართულებს, მაშინ ხარჯი შედ-

გენილობის კორექციაზე გვექნება უმნიშვნელო, სხვანაირად დეტალურად გვაქვს გათვალისწინებული ეკონომიკური ფაქტორი). როცა გვექნება აბაზანები და კოკილები, გამოვიყენებთ ADI-ის 350C1Ю2-ს (გარკვეული მოსაზრებით არ მოგვავს „ნოუ-ჰის“ მატარებელი ნიშნები) შემომგლინავი და ავტომატური დგანების სამართულების დასამზადებლად. მისგან მზადდება სორტული დგანის არმატურა, გლინები და სხვა მრავალი დეტალი, რომელთაც მოეთხოვბა თვისებათა მაღალი კომპლექსი. თუ სამუშაო ტემპერატურა  $\leq 450^{\circ}\text{C}$ , მაშინ უპირატესობა ექნება ADI-ის, უფრო მაღალ ტემპერატურებზე გამოიყენება ბეინიტური თუკი 350C1Ю2ДН5МФТ.

## დასკვნა

ლაბორატორიულ და საქარხნო პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების ანალიზით შპს „რუსთავის ფოლადში“ დასანერგად რეკომენდებულია:

1. მაღალი სიმტკიცის თუკის (BЧ↔DI) მისაღებად საჭიროა გვქონდეს სიხოეტიკური თუკის ბაზაზე შემუშავებული კომპოზიცია (შესაბამისი დამუშავებით), რომელიც გახურებისა ( $t_d \geq 1550^{\circ}\text{C}$ ) და დაყოვნების ( $\tau_d \approx 30$  წუთი) შემდეგ ჩამოისხმება ციცხვში, შემდეგ (დაყოვნების გარეშე) ლითონის ყალიბში (კოკილში). აღნიშნული ტემპოლოგიით სტაბილურად რეალიზდება სფერული ფორმის გრაფიტის მიღების „ფულერებული მოდელი“;
2. იმის გამო, რომ ბეინიტმა და ნარჩენმა აუსტენიტმა შექმნა ახალი საკონსტრუქციო მასალა ეწ. „ბეინიტური თუკი“, აუცილებელია კორექტივები იქნეს შეტანილი გრაფიტიაციის პროცესში. მაურერის სტრუქტურული დიაგრამები სრულად პასუხობდა სხვადასხვა სტრუქტურის მქონე

- (გრაფიტი+ფერიტი; გრაფიტი+ფერიტი+პერლიტი; გრაფიტი+პერლიტი) რუხი თუჯის მიღებას, ფართო გაგებით, კინგტიკური ფაქტორის მუდმივობისას. დღეს აუცილებელია, მაღალ სიმტკიცესთან ერთად, გვერდეს ფარდობითი წაგრძელება  $\delta \geq 10-15\%$ , რაც მოითხოვს მრავალმხრივ, სერიოზულ „რეკონსტრუქციას“. ჩვენი მონაცემებით (მათ შორის ძირითადია ჩვენი მეცნიერებლი ჰიპოთეზა სილიციუმის ზღუდლის შესახებ რენიასა და ბენიტური კლასის Fe-C-Si შენადნობებში) საჭიროა თუჯში შემცირდეს სილიციუმი  $1,0\%-მდე$  და დაემატოს  $1,5-2,0\%$  Al და  $0,05-0,10\%$  Ca. ეს მიღობა საგრძნობლად გააუმჯობესებს როგორც გრაფიტიზაციის პროცესს ( $\Delta_1 = 2,48\text{Å}_{\text{Fe}} - 2,35\text{Å}_{\text{Si}} = 0,13\text{Å}$ ;  $\Delta_2 = 2,48\text{Å}_{\text{Fe}} - 2,86\text{Å}_{\text{Al}} = -0,38\text{Å}$ ;  $\Delta_3 = 2,48\text{Å}_{\text{Fe}} - 3,95\text{Å}_{\text{Ca}} = -1,47\text{Å}$ ), ასევე ფერდის – რენიის თვისებებს (როცა  $\text{Fe}-\text{Si}$  სტერაში  $\text{Si}=2,3\%-ს$ , რენიის  $\text{KCU}_{\text{Fe}-\text{Si}} \approx 0$ , როცა  $\text{Si}=1,0\%-ს$ , მაშინ  $\text{KCU}_{\text{Fe}-\text{Si}} \approx 150\text{kg/mm}^2$ );
3. ყველა არსებული კომპონენტის გამოყენებით (განსაკუთრებით საშუალონახშირბადანი ბენიტური კლასის ფოლადის აუსტენიტის იზოთერმული და ანიზოთერმული დაშ-

ლის ახალი ტიპის დიაგრამები) შემოგდინავი დგანის სამართულების დასამზადებლად რეკომენდებულია 350C1H02ДН5МФТ ტიპის ბენიტური თუჯი;

4. ADI-ის (350C1H02) იზოთერმული წრთობის ტემპერატურა კონტროლდება მზა პროდუქციის საშუალო ტემპერატურით (ჩვენს შემთხვევაში  $400-450^\circ\text{C}$ ). აღნიშნულის გამო, აუცილებელია მუშაობა ზედა ბენიტურია არ გამორიცხავს მუშაობას Al-A<sub>3</sub> შორის. ჩვენი მარაგნაკეთით, როცა ფერდის  $C \approx 0,40\%$ , ვიქებით ( $\gamma+\alpha$ ) ორფაზა არქში –  $740-800^\circ\text{C}$  (ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა დავადგინოთ ფაზათა ზუსტი თანაფარდობა, მაგალითად, სტარტისათვის  $80\% \gamma + 20\% \alpha$ ). ამ გზით (თერმული დამუშავებით) სტრუქტურაში შემოტანილი ფერიტი საშუალებას მოგვცემს ე.წ. „ფანჯრის“ უარყოფითი ეფექტი გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ, მაგალითად, ავტომატური დგანების სამართულების დასამზადებლად.

ზემომცვენილი ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გაიზარდოს ბენიტური თუჯის საკონსტრუქციო სიმტკიცე, ხანგამდლეობა.

## ლიტერატურა

1. V. Kopaleishvili, O. Ioseliani, I. Kashakashvili, F. Tavadze. The use of bainite steels to attain a high-strength condition. // Posts of Academy of Sciences of Georgian SSR". – 1990, v.138. –№2.–pp. 357-160. (In Russian).
2. V. Kopaleishvili, R. Tkhelidze, D. Kharadze, etc., Certificate №1615191 (SU), Int. I. C 1 C22 d1/78. 9/00. "Method of production of piercing-roiling mill mandrels". Rustavi Metallurgical Works // Patent Bulletin.–1990.– №4. (In Russian).
3. V. Kopaleishvili, R. Tkhelidze, I. Kashakashvili, etc., Certificate #1753730 (SU), Int. I. C 1 C22 c38/50. "Steel". Rustavi Metallurgical Works// Patent Bulletin.–1992.–(for official use). (In Russian).
4. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili. Synergetic (self-organized) phenomena in Fe-C bainitic alloys. Scholarly articles of Georgian Technical University - Tbilisi: Publisher: "Technical Uniciversity."–2001.-№5 (438), pp. 27-32. (In Russian).
5. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereslidze. Regularity between silicon threshold value and synergetic processes in Fe-C bainitic alloys. // Problems of metallurgy, materials science and welding: collected articles of 7<sup>th</sup> scientific and technical conference. 8-11 October, 2002 /prof. S. Iakobashvili (editor-in-chief). Association of welders of Georgia, others. Tbilisi, 2002. pp.16-33. (In Russian).

6. I. Kashakashvili, L. Kereselidze. Synergetic (self-organized) phenomena in Fe-C bainitic alloys and ways of their practical use. // Scientific articles / Georgian Technical University.-Tbilisi: Publisher: "Technical University." -2003.- №2 (448), pp. 136-140. (In Russian).
7. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereselidze, G. Kipiani, O. Ioseliani. Scientific hypothesis to explain new bifurcations in bainitic iron alloys and its meaning for material science // Tehran International Congress on Manufacturing Engineering (TICME2005). -December 12-15, 2005, Tehran, Iran. (In English).
8. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereselidze, O. Ioseliani. Silicon threshold in iron and Fe-C bainitic alloys and its value for materials science // Proceedings of Georgian Technical University. №-1.-2006. pp. 109-114. (In Russian).
9. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereselidze, N. Khidasheli, D. Kopaleishvili, K. Ananiashvili. Elaboration of Iron Based Hydrogen Accumulating Alloys // Advanced Processing of Metals and Materials Vol. 4: New, Improved and Existing Technologies: Nonferrous Materials Extraction and Processing / Edited by F. Kongoli and R.G. Reddy. pp. 435-446.- From the 2006 TMS Fall Extraction & Processing: Sohn International Symposium, August 27-31, 2006, San Diego, California. (In English).
10. V. Kopaleishvili, O. Ioseliani, I. Kashakashvili, I. Kvirkadze, T. Makharadze. Presentation of Kinetic Diagrams of Austenite Disintegration in Integrated Way // Steel/-2006/-№12. pp. 57-60. (In Russian).
11. V. Kopaleishvili, L. Kotiashvili, I. Kashakashvili, T. Loladze, G. Chavchanidze. Relation between Griffits brittle fracture energy criterion and material (product) life time (The first report) // Transport and Machine-building. №1(19), 2008, pp. 86-94. (In Georgian).
12. V. Kopaleishvili, L. Kotiashvili, I. Kashakashvili, D. Kopaleishvili, T. Makharadze, G. Chavchanidze. Evaluation of structural strength of low-alloyed steels considering crack resistance (The second report).Transport and Machine-building. №1(19). 2008. pp. 45-55. (In Georgian).
13. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereselidze, O. Ioseliani. Self-organizing phenomena in bainite steels // Metallurgist. Volume 52. Numbers 5-6. May, 2008. pp. 314-318. (Translated from Metallurg, №5, pp. 58-60, May, 2008). (In English).
14. V. Kopaleishvili, I. Kashakashvili, L. Kereselidze, N. Khidasheli, O. Barbakadze, M. Barataşvili. Increasing the structural strength of globular graphite cast iron by improvement of the composition and heat treatment // Transport and Machine-building, №2(21), 2011, pp. 28-53. (In Georgian).
15. V. Kopaleishvili, N. Khidasheli, L. Kereselidze, O. Barbakadze, M. Barataşvili, O. Takhadze. Ways of increasing the structural strength of bainitic cast iron and application of the results at "Rustavi Steel" Ltd // Energy, №1 (61), 2012, pp. 46-54. (In Georgian).
16. O. Barbakadze, V. Kopaleishvili, M. Barataşvili, R. Lomidze, R. Bakradze, G. Putkaradze. Cast Iron spheroidization methods and equipment. // Oil and Gas of Georgia. ISSN 1512-0457. Tbilisi, 2012, №27, pp. 95-104. (In Georgian).

UDC 669.1.017:661.774.35

SCOPUS CODE 2506

## ENHANCEMENT OF STRUCTURAL STRENGTH OF BAINITIC CAST IRON BY OBTAINING SPHEROIDAL GRAPHITE, DEVELOPING CHEMICAL COMPOSITION OF ALLOY AND HEAT TREATMENT CONDITIONS

<b>V. Kopaleishvili</b>	Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Georgian Technical University, 69 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: v.kopaleishvili@gtu.ge
<b>M. Baratashvili</b>	Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Georgian Technical University, 69 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: manana_baratashvili@yahoo.com
<b>I. Kashakashvili</b>	Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Georgian Technical University, 69 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: i.kashakashvili@gtu.ge
<b>O. Barbakadze</b>	Rustavi Steel LLC, 12 Gagarini Str., 3700 Rustavi, Georgia E-mail: salome.b@live.ru
<b>T. Loladze</b>	Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Georgian Technical University, 69 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: t.loladze@gtu.ge
<b>R. Bakradze</b>	Rustavi Steel LLC, 12 Gagarini Str., 3700 Rustavi, Georgia E-mail: r.bakradze@rustavisteel.com
<b>Z. Parchukashvili</b>	Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Georgian Technical University, 69 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: zuka.79@mail.ru

### Reviewers:

**R. Gvetadze**, Professor, Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU

E-mail: r.gvetadze@gtu.ge

**N. Khidasheli**, Professor, Department of Metallurgy, Materials Science and Metal Processing, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU

E-mail: khidly@gtu.ge

**ABSTRACT.** Bainitic cast iron matrix structure (80-90% bainite, 10-20% residual austenite) with spheroidal graphite can be obtained by isothermal hardening of nodular cast iron or using bainite class cast iron. Its hardness is provided by bainite while plasticity is provided by retained austenite containing spheroidal graphite. However, the problem is durability, hardly correctable cast metal structure and compatibility of the process of obtaining spheroidal graphite with the casting technological cycle.

The period of heat treatment of ductile iron (when the bainitic transformation of carbon-poor areas is completed, but the new phase - carbides and martensite crystals are not yet formed in carbon-rich areas of the austenite) is difficult to use. If this time is missed, the amount of residual austenite is greatly reduced. If the spherical shape of graphite in normal conditions (without heat treatment) provides some improvement of characteristics, including plasticity, it is not enough during the isothermal tempering, since the uncontrolled appearance of new phases causes embrittlement of an alloy.

**KEY WORDS:** bainitic cast iron; casting; durability; matrix; resistance; spherical and compact graphite; structural strength.

UDC 669.1.017:661.774.35

SCOPUS CODE 2506

## ПОВЫШЕНИЕ КОНСТРУКЦИОННОЙ ПРОЧНОСТИ БЕЙНИТНОГО ЧУГУНА ПУТЕМ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА СПЛАВА, ТЕРМООБРАБОТКИ И ПОЛУЧЕНИЯ ШАРОВИДНОГО ГРАФИТА

- Копалейшвили В.П.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: v.kopaleishvili@gtu.ge
- Бараташвили М.Д.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: manana\_baratashvili@yahoo.com
- Кашакашвили И.Г.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: i.kashakashvili@gtu.ge
- Барбакадзе О.Г.** ООО „Рустави стил“, Грузия, 3700, Рустави, ул. Гагарина, 12  
E-mail: salome.b@live.ru
- Лоладзе Т.О.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: t.loladze@gtu.ge
- Бакрадзе Р.М.** ООО „Рустави стил“, Грузия, 3700, Рустави, ул. Гагарина, 12  
E-mail: r.bakradze@rustavisteel.com
- Парчукашвили З.А.** Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69  
E-mail: zuka.79@mail.ru

### Рецензенты:

**Р. Гветадзе**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: r.gvetadze@gtu.ge

**Н. Хидашели**, профессор Департамента металлургии, материаловедения и обработки металлов факультета химической технологии и металлургии ГТУ

E-mail: khidly@gtu.ge

**АННОТАЦИЯ.** Структуру основы бейнитного чугуна (80-90% бейнит, 10-20% остаточный аустенит) с шаровидным графитом можно получить с помощью изотермической закалки пластичного чугуна или использованием чугуна бейнитного класса. Его твердость обеспечивает бейнит, в то время как пластичность обеспечивается остаточным аустенитом с шаровидным графитом. Однако проблемой являются долговечность, трудно исправимая структура литого металла и совместимость процесса получения шаровидного графита с технологическим циклом литья.

Промежуток термообработки пластичного чугуна (когда бейнитное превращение углерод-бедных участков завершается, а новые фазы - карбиды и кристаллы мартенсита не успели образоваться в богатых углеродом участках аустенита) трудно использовать. Если этот момент упускается, значительно уменьшается количество остаточного аустенита. Если сферическая форма графита в обычных условиях (без термической обработки) обеспечивает некоторое улучшение характеристик, включая пластичность, это недостаточно во время изотермической закалки, поскольку бесконтрольное появление новых фаз охрупчивает сплав.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** бейнитный чугун; долговечность; конструкционная прочность; основа; отливка; стойкость; шаровидный и компактный графит.

**UDC 519.242****SCOPUS CODE 2201****დროითი რიგის წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის დაღმინა**

<b>მ. მესხი</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: murman.meskhia@gtu.ge
<b>ს. ფირალიშვილი</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: geodezia@gtu.ge
<b>რ. ინაძე</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: inadzesandro@gtu.ge

**რეცენზენტები:**

**მ. ყალაბეგიშვილი**, შპს „ენგურჰესის“ პიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპერტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

E-mail: kalabegishvili@hotmail.com

**ა. კიკაბიძე**, სტუდენტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: a-kikabidze@yahoo.com

**ანოთაცია:** განხილულია დროითი რიგების, ანალიზის პარამეტრული მეთოდის გამოყენებით, ავტორეგრესული მოდელების იდენტიფიცირების, პარამეტრების უმცირეს კვადრატთა მეთოდით დადგენისა და ადეკვატურობის დიაგნოსტიკური გასინჯვის საკითხები. წარმოდგენილია საბოლოოდ მიღებული მოდელების პრაქტიკული გამოყენების საკითხები, მათ შორის პროგნოზირების, პროცესის რეგულირებისა და რიგის წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის დაღგენისას. ხაზგასმულია, რომ მოდელების გამოყენებისას პროცესის პროგნოზირებისათვის უპირატესობა ენიჭება ალბათურ, სტოქასტიკურ და არადეტერმინირებულ მოდელს, რადგან უკანასკნელ პროგ-

ნოზს ნაკლები სიზუსტით იძლევა. მოცემულია ენგურჰესის მადლივი კაშხლის ერთიან ტექნიკურ სისტემაში შემავალი და გამომავალი პროცესების გადამცემ ფუნქციაში, წყალსაცავის წყლის დონისა და დახრმხომის მაჩვენებელთა დროითი რიგების წევრთა შორის ინტერვალის ოპტიმალური სიდიდის დადგენა. გაანალიზებულია მოცემული დროითი რიგებიდან დისკრეტიზირებითა და ახალი რიგების აგრეგირებით მიღებული სხვადასხვა ინტერვალის შემცველი დროითი რიგების ავტორეგრესული, მულტიპლიკატორული სახის მოდელები. მიღებულია ოპტიმალური ინტერვალის ალბათური სიდიდეები კაშხლის სხვადასხვა ადგილში განლაგებული დახრილობის გამზომი ხელსაწყოების ჩვენებათა მიხედვით, ნარჩენი

შეცდომების საშუალო კვადრატული შეცდომების კრიტერიუმით. ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებსა და ნახაზებში, სადაც ჩანს, რომ დროითი რიგების წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის სიდიდე სხვადასხვაა კაშხლის სხვადასხვა ადგილში.

**საპანძო სიტყვაში:** აგრეგირება; დისკრეტიზირება; დროითი რიგი; ოპტიმალური ინტერვალი; პროგნოზირება; რეაქციის დაგვიანების დრო; რეგულირება.

## შესავალი

დროითი რიგი ყალიბდება ბუნებრივი პროცესების შედეგად ან ემპირიული გზით. როგორც ბუნებრივი, ისე ემპირიული დროითი რიგის წევრთა შორის ინტერვალის სიდიდე ხშირად განპირობებულია ამა თუ იმ ფაქტორით და ფიქსირებულია. მაგალითად, მზეზე ამოფრქვევათა წლიური რაოდენობა ან მდინარის ჩამონადენის დღედამური რაოდენობა. ზოგჯერ ინტერვალს ირჩევენ პროცესის პროგნოზირებისა და რეგულირების ან სხვა მიზნით [2, 4].

როდესაც სიტუაცია ინტერვალის ოპტიმალურობის შესახებ გაურკვეველია, უნდა გაანალიზდეს სხვადასხვაინტერვალიანი დროითი რიგების მოდელები. ნარჩენი შეცდომების დისპერსია ამ დროს უნდა მიისწოდოდეს მინიმუმისაკენ, ინტერვალის თანდათანობით შემცირებასთან ერთად.

დროითი რიგის წევრთა შორის ინტერვალი უნდა იყოს ისეთი უმცირესი სიდიდე, რომ შუალედში მნიშვნელოვანი რამ არ ხდებოდეს.

ინტერვალის ოპტიმიზაცია პროცესის პროგნოზირება-რეგულირების გარდა საჭიროა მაშინ, როდესაც ტექნიკურ სისტემაში გადამცემი ფუნქციის მოდელთან გვაქვს საქმე და საჭიროა გამომავალი პროცესის შემავალ პროცესთან რეაგირების დროის დადგენა [2]. ამისათვის სა-

ჭიროა შევადგინოთ სხვადასხვაინტერვალიანი დროითი რიგების მოდელები საწყისი რიგის დისკრეტიზირებითა და ახალი რიგების აგრეგირების გზით და გავანალიზოთ. ეს შესაძლებელია მხოლოდ ინტერვალის თანდათან გაზრდით. დავუშვათ, გვაქვს დროითი რიგი საათური ინტერვალით, მაგრამ გვინდა მოდელი, რომლის მთავარი მიზანია პროგნოზირება 12 საათით ადრე. ამ დროს გადასაწყვეტია საკითხი, რომელი დროითი რიგი გამოვიყენოთ მოდელის შესადგენად – 1-საათიანი თუ 12-საათიანი ინტერვალის შემცველი. თუ უკანასკნელს ავირჩევთ, მაშინ საჭირო გახდება საწყისი დროითი რიგიდან აგრეგირების გზით მივიღოთ ახალი დროითი რიგი. ეს პრობლემა რიგის წევრების დაჯგუფების ეფექტთან არის დაკავშირებული. ამ დროს მხედველობაში მიიღება ისიც, რომ მოდელები შესაძლოა იყოს სხვადასხვა კლასის, ე.ო. დადგება ერთი და იგივე პროცესისათვის სხვადასხვა კლასის მოდელთა იდენტიფიცირების პრობლემა, რომელიც ავტო- და ურთიერთკორელაციური ფუნქციების დახმარებით გადაწყდება [4].

როდესაც საკითხი ეხება მოდელთა კლასიდან პროგნოზირებისათვის უფრო მისაღების შერჩევას, უპირატესობას ანიჭებენ სტოქასტიკურ და არა დეტერმინირებულ მოდელს, რადგან ეს უკანასკნელი პროგნოზს ნაკლები სიზუსტით იძლევა. ეს განპირობებულია იმით, რომ დროითი რიგის ალბათური ბუნება მოდელში, რომელიც მხოლოდ დეტერმინირებულ ფუნქციას შეიცავს, სრულიად იგნორირებულია [4].

იდეალური იქნებოდა, საწყის მონაცემთა საფუძველზე, ისეთი მოდელის მიღება, რომელიც ადგავატური იქნებოდა ყველა დისკრეტული დროითი სკალისათვის, მაგალითად, ერთი და იგივე მოდელით მიგვეღო როგორც დღედამური, ისე თვიური და წლიური პროგნოზები. მაგრამ ამის შეუძლებლობის გამო, იმულებული ვართ

შევადგინოთ რამდენიმე მოდელი სხვადასხვა დროითი ინტერვალის მქონე რიგებისათვის [1].

დროითი რიგის წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის დადგენის საკითხი ხშირად წამოიჭრება. ამ დროს დისკრეტული სისტემები ბევრად არ ჩამოუვარდება ეფექტურობით უწყვეტ დინამიკურ სისტემებს თუ სწორადაა შერჩეული რიგის წევრებს შორის ინტერვალი. სასურველია ეს ინტერვალი, როგორც აღვნიშნეთ, იმდენად მცირე იყოს, რომ მათ შორის არ ხდებოდეს რაიმე არსებითი ცვლილება.

ჩვეულებრივ, შეშფოთება (ხმაური), რომელიც გაივლის სისტემაში, ახასიათებს მის ინერციულობასა და დინამიკურ თვისებებს. ასე, რომ ინტერვალი, აშკარად თუ ფარულად, ტექნიკური სისტემის დროის მუდმივას პროპორციული აიღება. დროის მუდმივა კი ამა თუ იმ სისტემისათვის არის ის დრო, რომელიც სჭირდება უწყვეტი სახის პირველი რიგის დიფერენციალურ სისტემას ერთი შემავალი და ერთი გამომავალი პროცესებით, რათა შემავალი პროცესის ერთეულოვანი ნახტომის შემდეგ მიაღწიოს გამომავალი პროცესის საბოლოო გაწონასწორებული დონის 63,2%-ს [2].

## ძირითადი ნაწილი

როგორც აღვნიშნეთ, დროითი რიგის წევრთა შორის ინტერვალის ოპტიმალური სიდიდის დადგენის საჭიროება დაკავშირებულია, პროცესის პროგნოზირების, რეგულირებისა და გადამცემი ფუნქციის შემთხვევაში, გამომავალი პროცესის შემავალ პროცესთან რეაქციის დროის დადგენის საკითხებთან.

პროცესებში, სადაც სითხეების შერევასა და ქიმიურ რეაქციებთან გვაქვს საქმე, ინტერვალის ტიპური მაჩვენებელია 2–3 საათი, ამიტომ დასაშვებია ხელით კონტროლი. გაზების რეაქციებში, სადაც პროცესები გაცილებით სწრაფად

ვითარდება, ინტერვალი აიღება წუთობით და ზოგჯერ წამობით და აუცილებელია აგტომატური მართვა და კორექტირება.

სხვა შემთხვევებში, ოპტიმალური ინტერვალის დასადგენად საჭიროა ექსპერიმენტები მოცემული დროითი რიგიდან ახალი დისკრეტული რიგების შესადგენად და ამ მოდელების გასაანალიზებლად.

ოპტიმალური ინტერვალის დადგენაში ხშირად გვეხმარება დასაბუთებული პრაქტიკული ვარაუდი და გამოცდილება. უფრო საიმედო კრიტერიუმი მოდელთა ნარჩენი შეცდომების დისპერსია და სტანდარტული შეცდომებია.

ნარჩენი შეცდომების საშუალო კვადრატული შეცდომა (სკმ) გამოითვლება ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{N-v} \sum_{t=1}^N (X_t - \hat{X}_t)^2},$$

სადაც  $X_t$  არის დისკრეტული დროითი რიგის წევრები,  $\hat{X}_t$  – მოდელით გამოთვლილი წევრები,  $N$  – დროითი რიგის წევრთა რაოდენობა,  $v$  – თავისუფლების ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია მოდელში პარამეტრების რაოდენობაზე.

დროითი რიგის წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის დასადგენად გავაანალიზეთ სხვადასხვა ინტერვალის შემცველი საწყისი დროითი რიგები ენგურვების კაშხლის პირობებისათვის:

1. 2001–2005 წწ. დღედამური ინტერვალის მქონე რიგები 402 პორიზონტზე მე-12 სექციაში დაყენებული დახრილობის გამზომისა და კაშლის წყალსაცავში წყლის დონეთა (წლდ) მაჩვენებლებით. საწყისი დროითი რიგის დისკრეტიზირებითა და სათანადო წევრების აგრეგირებით მიღებულია 2,3,...,7 დღედამურინტერვალიანი დროითი რიგები (ცხრ. 1);

2. 2011–2013 წწ. დღედამური ინტერვალის მქონე რიგები იმავე 402 პორიზონტზე მე-12, მე-18 და 26-ე სექციებში განლაგებული დახრილო-

ბის გამზომი და წლდ მაჩვენებლებით. ამ შემთხვევაშიც მიღებულია ახალი დროითი რიგები 2,3,...,7 დღედამური ინტერვალებით (ცხრ. 2);

3. 2012–2013 წლ. საათური ინტერვალის შემცველი დროითი რიგები იმავე პორიზონტსა და იმავე სექციებში განლაგებული დახრილობის გამზომი და წლდ მაჩვენებლებით. საწყისი საათურინტერვალიანი დროითი რიგების დისკრეტიზირება მოხდა 6, 12, 18 და 24-საათიანი ინ-

ტერვალების შემცველი დროითი რიგების აგრძელების მიზნით (ცხრ. 3).

ცხრილებში მოცემული მაჩვენებლებით აგრძელი გრაფიკები წარმოდგენილია ნახაზებზე (ნახ. 1, 2, 3).

სამივე პერიოდის დისკრეტიზირებული დროითი რიგების ნარჩენი შეცდომების სკამ მიღებულია ზემოთ მოცემული ფორმულით და წარმოდგენილია ცხრილებში.

### ცხრილი 1

#### 2001–2005 წლ. დღედამური დროითი რიგები

ინტერვალი $D$ , დღე-დამე	1	2	3	4	5	6	7
რიგში წევრთა რაოდენობა	1826	913	608	456	365	304	260
ნარჩ. შეცდ. სკმ $\sigma$	5,126	5,132	5,136	5,176	5,183	5,230	5,235

### ცხრილი 2

#### 2011–2013 წლ. დღედამური დროითი რიგები


ინტერვალი $D$ , დღე-დამე	1	2	3	4	5	6	7	
რიგში წევრთა რაოდენობა	586	293	195	146	117	97	83	
ნარჩ. შეცდ. სკმ, $\sigma$	დახრმ. № 12 სექციაში	1,735	1,753	1,791	1,775	1,771	1,836	1,841
	დახრმ. № 18 სექციაში	5,068	5,112	5,152	5,212	5,268	5,334	5,399
	დახრმ. № 26 სექციაში	4,696	4,764	4,774	4,816	4,803	4,928	4,918

## 2012–2013 წწ. საათური დროითი რიგები


ინტერვალი $D$ , საათი	6	12	18	24
რიგში წევრთა რაოდენობა	2920	1460	973	730
გარჩ. შეცვ. სექ, σ	დახრმ. № 12 სექციაში	1,215	0,967	0,893
	დახრმ. № 18 სექციაში	4,538	1,959	3,053
	დახრმ. № 26 სექციაში	4,947	2,946	2,416

როგორც ცხრილებში, ისე ნახაზებზე ჩანს, რომ დროითი რიგის წევრთა შორის ინტერვალის ოპტიმალური სიდიდე მიისწრაფვის უმცირესისკენ. დღედამური ინტერვალის შემცველი რიგებისთვის ეს არის 1 დღე-დამე. რაც შეეხება საათურინტერვალებიან რიგებს, ანალიზი შემ-


დებ სურათს იძლევა: კაშხლის ნაპირებთან ახლოს, მე-12 და 26-ე სექციებში განლაგებული დახრილობის გამზომი მაჩვენებლების მიხედვით ოპტიმალური ინტერვალია 18 საათი, კაშხლის შუაში, მე-18 სექციისათვის – 12 საათი.



ნახ.1. 2001–2005წწ. დღედამური დროითი რიგები. 402 პორიზონტი. მე-12 სექცია



ნახ. 2. 2011–2013წ. დღედამური დროითი რიგები. 402 პორიზონტი.  
მე-12, მე-18, 26-ე სექციები



ნახ.3. 2012–2013წ. საათური დროითი რიგები.  
402 პორიზონტი. მე-12, მე-18, 26-ე სექციები

## დასკვნა

როგორც მოცემული დროითი რიგების დისკრეტურებითა და ახალი რიგების აგრეგირებით მიღებული სხვადასხვაინტერვალიანი რიგების მოდელების ანალიზი აჩვენებს, რიგის წევრთა შორის ოპტიმალური ინტერვალის სიდიდე კაშხლის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაა. მე-12 და 26-ე სექციებში (კაშხლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებისკენ) მისი სიდიდე 18 საათია, ხოლო კაშხლის შუა ნაწილში – 12 საათი.

ინფორმაციულობის მაქსიმიზაციისა და სტანდარტული შეცდომის მინიმიზაციის პრინციპების, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნება გრძივრული ერთსა და იმავე ობიექტზე სხვადასხვაინტერვალიანი დროითი რიგებით ოპერირება, მიზანშეწონილია დროითი რიგების ფორმირება 6-საათიანი ინტერვალით, ზედმეტი დაზღვევის გათვალისწინებით, რათა ინტერვალის შეალებული მნიშვნელოვანი ცვლილება არ ხდებოდეს, ოპტიმალურად შეიძლება მიღებულ იქნეს 1-საათიანი ინტერვალი.

## ლიტერატურა

1. T. Anderson. Statistical analysis of time series. M.: Mir, 1976. (In Russian).
2. J. Box, G. Jenkins. Analysis of time series. M.: Mir, 1974. (In Russian).
3. J. Dub. Probabilistic processes. M., 1956. (In Russian).
4. R.L. Kashciap, A.R. Rao. Construction of dynamic stochastic model by experimental data. M.: Nauka, 1983. (In Russian).
5. M. Kendall, A. Stewart. Multivariate statistical analysis and time series. M.: Nauka, 1976. (In Russian).
6. E. Hennan. Analysis of time series. M.: Nauka, 1964. (In Russian).
7. E. Hennan. Multivariate time series. M.: Mir, 1974. (In Russian).

**UDC 519.242**  
**SCOPUS CODE 2201**

## **DEFINITION OF OPTIMAL INTERVAL BETWEEN TIME SERIES TERMS**

**M. Meskhi** Department of Engineering Geodesy and Geoinformatics, Georgian Technical University,  
75 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: murman meskhi@gtu.ge

**S. Piralishvili** Department of Engineering Geodesy and Geoinformatics, Georgian Technical University,  
75 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: geodezia@gtu.ge

**R. Inadze** Department of Engineering Geodesy and Geoinformatics, Georgian Technical University,  
75 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia  
E-mail: inadzesandro@gtu.ge

**Reviewers:**

**M. Kalabegishvili**, Expert of hydrotechnical structures of Engurhesi Ltd, Doctor of Technical Sciences, Professor  
E-mail: kalabegishvili@hotmail.com

**A. Kikabidze**, Professor, Department of Engineering Geodesy and Geoinformatics, Faculty of Mining and Geology, GTU  
E-mail: a-kikabidze@yahoo.com

**ABSTRACT.** This article presents the analysis of time series using the parametric method of identification of autoregressive models, parameters least squares method and adequacy of diagnostic examination issues, also practical application matters of the finally obtained models, including forecasting, process control and determining the optimum interval between the time series terms. The article emphasizes that in application of models for predicting processes preference is given to probability, stochastic model, and not to deterministic methods, because the latter gives less accurate forecasts. Another subject discussed is the determination of water level in the reservoir and optimal value of interval between the time series terms of inclination indicators readings in the transfer function of input and output processes in the unified Enguri HPP high dam general technical system. Analyzed are the autoregressive, multiplier type models obtained by sampling of given time series and aggregation of the new time series containing various intervals. Obtained are the probable values of optimal interval according to the readings of inclination measuring devices located in different places of dam, with the residual errors in the mean square error criteria. The results of analysis are presented in the form of tables and drawings showing that the optimal time interval between the time series terms has different magnitude in different areas of the dam.

**KEY WORDS:** aggregation; discretization; forecasting; optimal interval; regulation; time series; ; time of late reaction.

**UDC 519.242  
SCOPUS CODE 2201**

## **ОПРЕДЕЛЕНИЕ ОПТИМАЛЬНОГО ИНТЕРВАЛА МЕЖДУ ЧЛЕНАМИ ВРЕМЕННОГО РЯДА**

- Месхи М.А.** Департамент инженерной геодезии и геоинформатики производственно-технологических машин и мехатроники, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: murman meskhi@gtu.ge
- Пиралишвили С.Х.** Департамент инженерной геодезии и геоинформатики производственно-технологических машин и мехатроники, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: geodezia@gtu.ge
- Инадзе Р.В.** Департамент инженерной геодезии и геоинформатики производственно-технологических машин и мехатроники, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75  
E-mail: inadzesandro@gtu.ge

**Рецензенты:**

- М. Калабегишвили**, эксперт гидротехнических сооружений ООО “ИнгуриГЭС”, доктор технических наук, профессор  
E-mail: kalabegishvili@hotmail.com
- А. Кикабидзе**, профессор Департамента инженерной геодезии и геоинформатики горно-геологического факультета ГТУ  
E-mail: a-kikabidze@yahoo.com

**АННОТАЦИЯ.** Статья посвящена вопросам анализа временных рядов: использования метода параметрической идентификации авторегрессионных моделей, определения параметров методом наименьших квадратов и диагностической проверки адекватности. Представлены вопросы практического применения моделей, в том числе прогнозирования, регулирования процессов и определения оптимального интервала между членами ряда. Подчеркнуто, что при использовании моделей для процесса прогнозирования предпочтение отдается вероятностной, стохастической, а не детерминированной модели, потому что последняя дает менее точные прогнозы. Представлен вопрос определения в передаточной функции входящих и выходящих процессов единой технической системы высотной плотины ИнгуриГЭС. Входящий процесс - это уровень воды в водохранилище, а выходящий - показателей наклономера. Проанализированы полученные дискретизацией заданных временных рядов и агрегацией новых рядов содержащие различные интервалы временных рядов в виде авторегрессионных и мультиплитаторного типа моделей. Получены оптимальные вероятностные значения интервала, согласно показаниям расположенных в разных местах плотины измеряющих наклон измерительных приборов, по критерию среднеквадратической погрешности остаточных ошибок. Результаты анализа представлены в виде таблиц и рисунков, которые показывают, что оптимальная величина интервала времени между членами рядов различна в разных местах плотины.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** агрегирование; временной ряд; время запаздывания реакции; дискретизация; оптимальный интервал; прогнозирование; регулирование.

**UDC 519.242****SCOPUS CODE 2201**

## მნიშვნელოვანი სამუშაო დოკუმენტის გამზღვის დროის პირდღა

<b>მ. მესხი</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: murmanmeskhi@gtu.ge
<b>ს. ფირალიშვილი</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: geodezia@gtu.ge
<b>რ. ინაძე</b>	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: inadzesandro@gtu.ge

### რეცენზენტები:

- მ. ყალაბეგიშვილი**, შპს „ენგურჰესის“ პიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპერტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
E-mail: kalabegishvili@hotmail.com
- ა. კიკაბიძე**, სტუ-ის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტის პროფესორი  
E-mail: a-kikabidze@yahoo.com

**ანოთაცია:** მოცემულია ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონის ცვლილებაზე კაშხლის რეაციის დროის კვლევის შესახებ. წარმოდგენილია რეალურად არსებული ემპირიული დროითი რიგბის – წყალსაცავში წყლის დონისა და კაშხლის ტანში სხვადასხვა ადგილას დამონტაჟებული დახრილობის გამზომი ხელსაწყოების მაჩვენებელთა დისკრეტიზირებითა და ახალი სხვადასხვანიტერვალიანი რიგბის აგრეგირებით მიღებული მულტიპლიკატორული ტიპის მოდელების ანალიზი, ასევე დროითი რიგბის გადამცემი ფუნქცია შემავალი და გამომავალი პროცესების იდენტიფიცირებით. აღნიშნულია, რომ გამომავალ

